სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
Legal Entity of Public Law-Gori State Teaching University

ილია ბერიანიძე

სოციალური და ეკონომიკური საკითხები საქართველოს დამფუძნებელ კრებაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საქართველოს ისტორიის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ოთარ ჯანელიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი

გორი

2021

ანოტაცია

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არსებობა ურთულეს სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში მოუხდა. ახლად შექმნილ სახელმწიფოს დემოკრატიული აღმშენებლობისა და სუვერენიტეტის შესანარჩუნებლად სწორი და ეფექტური ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება სჭირდებოდა. ამ მიმართულებით, მთავრობასთან ერთად, უმნიშვნელოვანესი სამუშაო ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ - დამფუძნებელმა კრებამ გასწია.

სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავს პირველწყაროებსა (დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ჩანაწერები, საარქივო მასალები, პერიოდული პრესა, მემუარები) და საკითხის გარშემო არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, შეისწავლოს საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ შემუშავებული და რეგლამენტირებული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ასპექტები. კერძოდ, რა ტიპის სახელმწიფოს აშენებდნენ დამფუძნებელი მამები; როგორი იყო პირველი რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მახასიათებლები; რა გავლენას ჰპოვებდა იგი საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, რა ფაქტორები ახდენდნენ გავლენას მის ფორმირებაზე და სხვ.

საკვლევი თემის სტრუქტურა ასეთია: ნაშრომი შედგება ანოტაციის (ქართულ და ინგლისურ ენებზე), შესავალი ნაწილის, ხუთი თავისა და დასკვნისაგან, რომელსაც დაერთვის ბიბლიოგრაფია. გამოყენებულია ისტორიზმის, ქრონოლოგიური, ისტორიულ-შედარებითი და შინაარსობრივი ანალიზის კვლევის მეთოდები.

დასამუშავებლად შერჩეული პრობლემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც იგი ერთ თემაში აერთიანებს და აანალიზებს დამფუძნებელი კრების მიერ გამოცემულ როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური შინაარსის სამართლებრივ აქტებს. განიხილავს ქვეყნის უმაღლესი ფინანსური დოკუმენტის - ბიუჯეტის გარშემო გამართულ დებატებსა და პარტიულ პოზიციებს. მასში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს 1921 წელს მიღებული კონსტიტუციის მეცამეტე თავი, რომელიც მთლიანად საქართველოს მოქალაქეების სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს ეძღვნება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკური მოდელისა და სოციალური პოლიტიკის თავისებურებათა კვლევა, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სოციალურ-ეკონომიკური საკითხების ირგვლივ მიღებულ გადაწყვეტილებათა ანალიზი, ასევე, მათი პრაქტიკაში დანერგვის კუთხით დაგროვილი გამოცდილების შესწავლა 1918-1921 წწ. საქართველოს ისტორიის უკეთ აღქმისა და რეპრეზენტაციის დამატებით შესაძლებლობას იძლევა.

Berianidze I. Social and economic issues in the Constituent Assembly of Georgia

Annotation

The Democratic Republic of Georgia had to exist in the most difficult social and economic conditions. The newly established state needed to implement a sufficient and effective financial-economic policy in order to maintain democratic development and sovereignty. To aim this goal, together with the government, the most important contribution was made by the supreme legislative body of the country - the Constituent Assembly.

The aim of the thesis is to study the economic and social policies elaborated and regulated by the Constituent Assembly of Georgia, based on the first sources (shorthand records of the Constituent Assembly, archival materials, periodical media, memoirs) and the existing scientific literature on the subject. In particular, what kind of state was built by the founding fathers; What were the main features of the socio-economic policy of the First Republic; What influence did it have on the public life, what factors influenced its formation, etc.

The structure of the research topic is the following: The paper consists of an annotation (in Georgian and English), an introductory part, five chapters and a conclusion, which is accompanied by the bibliography. In thesis are used research methods of historicism, chronological, historical-comparative and content analysis.

The selected problem for thesis is interesting insofar as it combines and analyzes in one topic the legal acts of both economic and social content issued by the Constituent Assembly. Discusses the debates and party positions around the country's supreme financial document - the Budget. In the paper, an important part is dedicated to the thirteenth chapter of the Constitution adopted in 1921, which is entirely devoted to the social and economic rights of the citizens of Georgia.

Study of the peculiarities of the economic model and social policy of the Democratic Republic of Georgia, analysis of the decisions made on socio-economic issues in the supreme legislative body of the country, as well as study of the experience gained in terms of their implementation in 1918-1921, ensures additional opportunities for better understanding and representation of the history of Georgia.

შინაარსი

ანოტაცია …….....

Annotation …….....

შესავალი 5

I თავი: საქართველოს დამფუძნებელი კრების დანიშნულება,

მიზნები და ამოცანები 10

II თავი: ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებზე

მომუშავე დამფუძნებელი კრების მუდმივი და დროებითი კომისიები 21

III თავი: დამფუძნებელი კრების სოციალური და ეკონომიკური

შინაარსის სამართლებრივი აქტები 28

IV თავი: დებატები ბიუჯეტის ირგვლივ საქართველოს დამფუძნებელ

კრებაში 43

ა.) 1919-1920 წლის ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება 43

ბ.) 1920-1921 წლების ბიუჯეტის პროექტი 49

V თავი: მოქალაქეთა სოციალ-ეკონომიკური უფლებანი საქართველოს

კონსტიტუციაში 52

დასკვნა 59

გამოყენებული ლიტერატურა 62

შესავალი

ზოგადი დახასიათება.

1801 წელს რუსეთის იმპერიამ უხეშად დაარღვია გეორგევსკის ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებები და მეფობა გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფოში. ამას მოჰყვა საქართველოს დანარჩენი ნაწილის ეტაპობრივი ანექსია. კოლონიზაციამ საუკუნეზე მეტ ხანს გასტანა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფლებისა და დამოუკიდებლად სახელმწიფოს მართვის იდეა არასოდეს გამქრალა ქართველთა ცნობიერებიდან. პირველ ეტაპზე დაწყებული აჯანყებები მოგვიანებით ეროვნულ-განმანათლებლურ და განმანთავისუფლებელ მოძრაობაში გადაიზარდა. ყოველივე ზემოთ ნათქვამის ლოგიკურ დასასრულს კი წარმოადგენდა 1918 წლის 26 მაისს ჩვენი ქვეყნის მიერ ნანატრი დამოუკიდებლობის მოპოვება.

რა თქმა უნდა, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენა ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცაღა ქვეყნის სწორად და ეფექტურად მართვა არ არის მარტივი საქმე. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმ გარემო პირობებს, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენდა საქართველოს აღმშენებლობის პროცესზე.

ქვეყნის დამოუკიდებლობისა და მთლიანობის შესანარჩუნებლად ხელისუფლებას დაუყოვნებლივ უნდა გადაეჭრა საქართველოს წინაშე მდგომი ისეთი პრობლემები, როგორებიც იყო: ჩამოშლილი ეკონომიკა, დაცარიელებული ხაზინა, უმუშევრობა, ინფლაცია, გაჩანაგებული სოფლის მეურნეობა, უარყოფითი სავაჭრო სალდო, ბიუჯეტის პროექტის არ არსებობა და ა.შ.

მიუხედავად სირთულეებისა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფუძემდებლებმა წარმატებით გაართვეს თავი გამოწვევებს და შესძლეს მაღალი ხარისხის დემოკრატიის მქონე სახელმწიფოს შექმნა, რომელიც გამოირჩეოდა საკუთარი სოციალური პასუხისმგებლობითა და განსხვავებული ეკონომიკური ხედვით.

ეს წარმატება დიდწილად განპირობებული იყო საქართველოს წარმომადგენლობითი ორგანოს სრულფასოვანი და კომპეტენტური მუშაობით. თითქმის ორწლიანი ფუნქციონირების შედეგად, სახალხო არჩევნების გზით ჩამოყალიბებულმა დამფუძნებელმა კრებამ საკუთარი კანონშემოქმედებითი საქმიანობითა და გააზრებული პოლიტიკით შესძლო ისეთი სახელმწიფოს შექმნა, რომელშიც მსოფლიოს ცივილიზებულ ერებთან ერთდროულად და ზოგიერთ შემთხვევაში მათზე ადრეც, ამკვიდრებდა მნიშვნელოვან დემოკრატიულ ფასეულობებს, მათ შორის სოციალურ სფეროშიც. სწორედ ამ გარემოებამ ათქმევინა თანამედროვე ბრიტანელ ისტორიკოსს ერი ლის ასეთი სიტყვები: „ჩემი აზრით, ქართველი ხალხის

გამოცდილება დამოუკიდებლობის სამი წლის მანძილზე უმნიშვნელოვანესია და იგი უნდა ისწავლებოდეს მსოფლიო მასშტაბით“.[1]

თემის აქტუალურობა.

დიდი ხანი არ არის, რაც ქართული ისტორიოგრაფია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიით დაინტერესდა. ბოლო 2-3 ათწლეულის განმავლობაში ამ მხრივ არაერთი საყურადღებო გამოკვლევაც დაიწერა, მაგრამ ისინი ძირითადად პოლიტიკურ ისტორიას ეხება, 1919-1921 წლების საქართველოში არსებული სოციალური და ეკონომიკური პრობლემები კი დღემდე შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი.

საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც მნიშვნელოვანია პირველი რესპუბლიკის პერიოდში განხორციელებული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის როგორც დადებითი ასპექტების, ისე უარყოფითი გამოვლინებების გააზრება და დაგროვილი გამოცდილების ერთგვარ გაკვეთილად აღქმა. პრობლემას აქტუალობას მატებს გლობალიზაციის ფონზე მიმდინარე ეკონომიკური პროცესების პირობებში სოციალიზმის იდეების ახლებურად გააზრების აუცილებლობაც.

კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მიერ შემუშავებული სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის კომპლექსური შესწავლის ცდა.

საკვლევი თემის წინაშე დასახული ამოცანები ითვალისწინებს ისეთი საკითხების შესწავლასა და გაანალიზებას, როგორიცაა დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული ეკონომიკური და სოციალური შინაარსის მქონე კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები, 1919-1920 წლის ბიუჯეტის პროექტი და კონსტიტუციაში გაწერილი მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებები. კვლევისას იდენტიფიცირდება დამფუძნებელი კრების ის კომისიები, რომლებიც უშუალოდ სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებით მუშაობდნენ.

კვლევის მეთოდი.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია ქრონოლოგიური, ისტორიულ-შედარებითი და ისტორიზმის მეთოდები. საკვლევი თემის ანალიზისას ვსარგებლობ თვისობრივი, რაოდენობრივი, ლოგიკური და აღწერით-სტატისტიკური მეთოდებით, რომლებმაც საშუალება მომცემეს მეტი სიღრმით და მრავალმხრივ შევისწავლო თემის გარშემო არსებული ემპირიული მასალა.

[1] https://gtuc.ge › სხვა-სამყარო-მშრომელთათვ

თემაზე მუშაობისას გამოყენებული პირველადი და მეორადი ისტორიული წყაროები დამუშავებულია შინაარსობრივი ანალიზის მეთოდით. ნაშრომში გაანალიზებულია დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ჩანაწერები.

ნაშრომის სიახლე.

სამაგისტრო ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს სტენოგრაფიული ჩანაწერების, სამართლებრივი აქტების, ბიუჯეტის პროექტისა და პირველი კონსტიტუციის საფუძველზე დამფუძნებელი კრების მიერ შემუშავებული სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის გაანალიზება, რაც საშუალებას იძლევა კომპლექსურად შევისწავლოთ და ერთიანობაში წარმოვაჩინოთ პირველი რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს მიერ ორი წლის მანძილზე მიღებული და შემუშავებული როგორც ეკონომიკური ასევე სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. ნაშრომი გაანალიზებულია წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ ფორმირებული ახალი სახელმწიფოს ეკონომიკური მოდელი და სოციალური პოლიტიკის თავისებურებანი.

პრაქტიკული მნიშვნელობა.

სამაგისტრო ნაშრომის შედეგად გაანალიზებული და გამოკვლეული საკითხები ხელს შეუწყობს საქართველოში პარლამენტარიზმის ისტორიის მიმართულებით არსებული კვლევების გაღრმავებას. თემა შესაძლოა გამოყენებული იქნას, როგორც დამხმარე მასალა შესაბამის საკითხზე მუშაობისას.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გავეცანი აღნიშნული საკითხის გარშემო არსებულ თითქმის ყველა ძირითად გამოკვლევას. მათმა შესწავლამ და გაანალიზებამ თემა გახდა უფრო მრავალფეროვანი და დამეხმარა პრობლემის კომპლექსურად შესწავლაში.

ნაშრომის პირველწყაროებიდან გამოვყოფდი:

1. **საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ჩანაწერები, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბ., 2019** - გაციფრებულ და ელექტრონულად შენახულ შვიდტომეულში მთლიანადაა შეტანილი დამფუძნებელი კრების ყველა პლენარული სხდომის ოქმი, რაც მნიშვნელოვანი პირველწყაროა თემაზე მუშაობისას. ამ ჩანაწერების გაანალიზებამ საშუალება მომცა გავცნობოდი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის პროცესს და თვალი მედევნებინა როგორც მმართველი პარტიის, ისე ოპოზიციური სპექტრის დამოკიდებულებისათვის ამა თუ იმ საკითხისადმი.

2. **კანდელაკი კონსტანტინე, საქართველოს ეროვნული მეურნეობა. წიგნი II, დამოუკიდებელი საქართველო: მისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა, დ. ხელაძის გამოცემა, პარიზი, 1960.** – 1919 წლის 21 მარტიდან კონსტანტინე კანდელაკი გახდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი. შესაბამისად, სწორედ იგი წარმართავდა ჩვენი ქვეყნის საფინანსო და ეკონომიკურ პოლიტიკას. პარიზში დაწერილ მის ნაშრომს ჩემი თემისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ავტორი უშუალოდ პროცესის თანამედროვეა და იგი ყველაზე ნათლად აფასებს იმ პერიოდის საქართველოში არსებულ ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას. მისმა დაკვირვებებმა პირველი რესპუბლიკის ბიუჯეტზე და სხვა ეკონომიკურ საკითხებზე ფასდაუდებელ სამსახური გამიწია ნაშრომის მესამე და მეოთხე თავის წერისას.

3. **ლორთქიფანიძე გრიგოლ, ფიქრები საქართველოზე, თბ., თსუ გამომცემლობა, 1995.** - გრიგოლ ლორთქიფანიძე იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კიდევ ერთი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, რომელსაც სხვადასხვა პერიოდში ეკავა ჯერ სამხედრო და განათლების მინისტრის, ხოლო შემდეგ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი. მისი პოლიტიკური ესე შეიცავს უამრავ ფაქტს შესასწავლი პერიოდის შესახებ და დამეხმარა თემის დამუშავებისას იმ დროინდელ საქართველოში არსებული ეკონომიკური და სოციალური ატმოსფეროს უკეთ გაგებაში.

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. **ჯანელიძე ოთარ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები, თბ., 2018.** - თანამედროვე ქართველი ისტორიკოსის ამ ნაშრომში კომპლექსურადაა შესწავლილი პირველი რესპუბლიკის არსებობის პერიოდი. სამაგისტრო ნაშრომთან მიმართებაში საინტერესოა ავტორის მოსაზრებები და დასკვნები დამფუძნებელი კრების სტრუქტურაზე. წიგნში ფართოდაა განხილული წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევის ისტორია, კრების შემადგენლობა და ფუნქციონირება.
2. **ათანელიშვილი თამარ, სადისერტაციო ნაშრომი „ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.). უნივერსალი, თბ., 2006.** ავტორი ეკონომისტია. მას საფუძვლიანად აქვს შესწავლილი საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები. მკვლევრის მიერ საკითხის სიღრმისეული და კომპლექსური გააზრება მნიშვნელოვნად დამეხმარა სამაგისტრო თემის წერისას.
3. **კაუცკი კარლ, სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში, თბ., 1920.** - კარლ იოჰან კაუცკი იყო საქართველოს პირველი რესპუბლიკის თანამედროვე ცნობილი ევროპელი მოღვაწე და მოაზროვნე. იგი გახლდათ

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის ლიდერი. მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ქართველ სოციალისტებთან, რომელთა მოწვევითაც, მეორე ინტერნაციონალის დელეგაციასთან ერთად იმყოფებოდა საქართველოში. მარქსისტი თეორეტიკოსის ანალიზმა, რაც გადმოცემულია საქართველოს პირველი რესპუბლიკისადმი მიძღვნილ მის წიგნში, ხელი შემიწყო 1918-1921 წლების საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სინამდვილის ობიექტურად გააზრებაში.

I თავი: საქართველოს დამფუძნებელი კრების დანიშნულება, მიზნები და ამოცანები

1918 წლის 26 მაისს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, მსოფლიოს ქვეყნის ხელახლა დაბადების შესახებ ამცნო. გაზეთ ,,საქართველოს" პირველივე გვერდზე დიდი ასოებით ეწერა: ,,საქართველოს დამოუკიდებლობა გადასწყდა!, გაუმარჯოს საქართველოს, გაუმარჯოს ქართველს ერს!"[2] გაზეთი ,,ერთობა" კი წერდა: ,,26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გამოცხადდა, ამიერიდან იგი სრულ უფლებიან სუვერენულ სახელმწიფოთ ითვლება და საქართველოს მოქალაქენი თავისუფალ ცხოვრებას ეწევიან." [3] საქართველომ როგორც იქნა დააღწია თავი საუკუნოვან რუსულ იმპერიალიზმს და დადგა ჟამი ნანატრი თავისუფლებისა.

დასაწყისშივე ყურადღება უნდა გამახვილდეს ერთ გარემოებაზე. 1801 წელს როდესაც ქვეყანა რუსეთმა დაიპყრო, იგი წარმოადგენდა მონარქიას, ხოლო დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან იგი რესპუბლიკად იქცა. 1920 წლის 14 იანვარს დამფუძნებელი კრების წინაშე სიტყვით გამოსვლისას ნოე ჟორდანია აღნიშნავდა: ,, საქართველო ამ ასი წლის წინად დასცა ფეოდალურმა განხეთქილებამ, საქართველო დღეს აღადგინა დემოკრატიის თანხმობამ. საქართველოს დაცემით დაეცა ტახტი, დაეცა ფეოდალთა უფლება. საქართველოს აღდგენით აღსდგა ხალხი, დამტკიცდა დემოკრატიის უფლება. ხალხმა დაიბრუნა ის, რაც დაკარგა მეფეებმა – თავისუფლება და შექმნა ხალხის სახელმწიფო, ხალხის წყობილება, ხალხის მმართველობა."[4]

მართლაც, 1918 წელს ,,ახალი საქართველო", თვისობრივად განსხვავებულ სახელმწიფოებრივ ღირებულებებზე აღმოცენდა. ერთი საუკუნის მანძილზე რუსული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა და მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ქვეყანას ფეოდალიზმის ფურცელი დაეხურა და გეზი დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობისკენ აეღო.

რესპუბლიკანიზმი თავის თავში გულისხმობს პოლიტიკურ პლურალიზმს. იგი ხასიათდება ხელისუფლების არჩევითობითა და ძალაუფლების დანაწილებით, რაც განაპირობებს მმართველი ძალის თვითნებობის მაქსიმალურად შეზღუდვასა და კანონის უზენაესობას. რესპუბლიკის იდეა და ხელისუფლების შტოთა გამიჯვნა სათავეს ჯერ კიდევ ძველი რომიდან იღებს, თუმცა პრობლემა ახლებურად XVII-XVIII საუკუნეების ცნობილმა ფილოსოფოსებმა გაიაზრეს. ჯერ ინგლისელმა ჯონ ლოკმა, ხოლო მოგვიანებით

[2] გაზეთი ,,საქართველო", № 101, 1918, 26 მაისი.
[3] გაზეთი ,,ერთობა" № 107, 1918, 28 მაისი.
[4] https://civil.ge/ka/archives/350035

ფრანგმა განმანათლებელმა შარლ ლუი მონტესკიემ ხელისუფლების დანაწილების პრინციპი დემოკრატიის ხარისხის მთავარ განმსაზღვრელად მიიჩნია. მათ ნააზრევს მე-18 საუკუნის ბოლოს მოჰყვა რევოლუციების კასკადი და ჯერ ამერიკაში ხოლო სულ მალე ევროპაშიც, დაირწა ახალშობილი რესპუბლიკების აკვანი.

ჩვენს ქვეყანაში რესპუბლიკური მმართველობის დამყარება არ ყოფილა სპონტანური მოვლენა, რადგან მას წინ უძღვოდა მთელი რიგი პოლიტიკური პროცესები. 1864 წელს რუსეთის იმპერიაში ბატონყმობის გაუქმებას მოჰყვა საქალაქო ცხოვრების განვითარება, გაჩნდა ახალი სოციალური ფენა - მუშათა კლასის სახით. მათთვის მონარქია მიუღებელი იყო, ამიტომ იფეთქა რევოლუციურმა მუხტმა ჯერ 1905 წელს, ხოლო მოგვიანებით 1917 წელს. ეს ყველაფერი რუსული ცარიზმის დამხობით დასრულდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი მამები მთელი ამ ბრძოლის ავანგარდში იდგნენ, ამიტომ მათი პოლიტიკური ღირებულებები და მსოფლმხედველობა მთლიანად ამ დაპირისპირებამ განსაზღვრა. ამას ემატებოდა უმეტესი მათგანის ევროპული განთლება და მათი დასავლური ღირებულებებისკენ სწრაფვა. შესაბამისად, საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება არ იყო გასაკვირი და ალოგიკური.

თანამედროვე რესპუბლიკები სხვადასხვა სახით გვხვდება. არსებობს: საპარლამენტო, საპრეზიდენტო და შერეული მმართველობის მქონე სახელმწიფოები. რადგან დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდში საქართველოში რამდენიმე პოლიტიკური პარტია არსებობდა, ქვეყნის მართვაც ყველაზე უპრიანი კოლექტიური საკანონმდებლო ორგანოს საშუალებით იქნებოდა. აქედან გამომდინარე, იმ დროინდელმა პოლიტიკოსებმა რესპუბლიკის საპარლამენტო ფორმა აირჩიეს და ძალაუფლება გადაეცა 1917 წელს შექმნილ ეროვნულ საბჭოს, რომელიც მოქმედი პარტიების წარმომადგენლებისგან და ეროვნული უმცირესობებისგან იყო დაკომპლექტებული. ეროვნული საბჭო იყო პირველი საკანონმდებლო ორგანო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მან ჩამოაყალიბა პირველი კოალიციური მთავრობაც. მოგვიანებით ეროვნულ საბჭოს სახელი შეეცვალა და საქართველოს პარლამენტი ეწოდა.

ისტორიკოსი ოთარ ჯანელიძე წერს: ,,მართალია, ხსენებული ორგანო აერთიანებდა ქვეყნის ყველა გავლენიან პოლიტიკურ ძალას, - ე. ი. ასახავდა საქართველოს ძირითად პოლიტიკურ სპექტრს, იყო პოლიეთნიკური შემადგენლობის და, ამასთან, მმართველობის სადავეებშიც მოცილე არავინ ჰყოლია, უნდა ითქვას, რომ დემოკრატიული თვალსაზრისით მას ლეგიტიმაცია აკლდა.“ მეცნიერს ამის მიზეზად საკანონმდებლო შტოს არჩევნების გარეშე

დაკომპლექტება მოჰყავს. [5] ნამდვილად დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკური რეჟიმის აღიარების ერთადერთი გზა სამართლიანი არჩევნებია. ასეთ დროს ხალხი მაქსიმალურადაა ჩართული ხელისუფლების ფორმირებაში და შესაბამისად უზრუნველყოფილია ,,ხალხის მმართველობა".

გარდა სახელმწიფოს შიგნით საზოგადოების მხარდაჭერისა, საქართველოს ასევე სჭირდებოდა საერთაშორისო ასპარეზზე აღიარება და ცნობა. ეს იყო ერთგვარი გარანტი ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის შენარჩუნება-გამტკიცებისა. ამ მხრივ ძალისხმევას არ იშურებდა მაშინდელი დიპლომატიური კორპუსი. რა თქმა უნდა, ცივილიზებული დასავლეთის სახელმწიფოებისთვის საქართველოს დემოკრატიულ ყაიდაზე მოწყობას, საერთაშორისო სამართლის სუბიექტად მისი ცნობის დროს, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა. ამ ყველაფერს კარგად აცნობიერებდა პირველი რესპუბლიკის მთავრობა და არჩევნების გზით ძალაუფლების ლეგიტიმაციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამიტომ დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან მოყოლებული, დამფუძნებელი კრების არჩევნები მუდმივად იდგა დღის წესრიგში. თუმცა მისი 1919 წლის თებერვალში ჩატარება მიანც დიდ წილად პარიზის სამშვიდობო კონფერენციით იყო განპირობებული, სადაც მიწვეული იყო ქართული დელეგაციაც. საარქივო მასალაში დაცულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართვა პარლამენტის პრეზიდიუმის მიმართ, რომელშიც საუბარია არჩევნების დაჩქარებით ჩატარებაზე. ,,ჩვენი ქვეყნის დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს დამფუძნებელ კრების დაჩქარებით მოწვევას. დამფუძნებელი კრება, რომლის არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს მთელი ერი, იქნება სწორი გამომხატველი ქართველი ხალხის ნება-სურვილისა და სამშვიდობო კონფერენციას არ შეუძლია არ გაუწიოს ამას ანგარიში,"[6] - ვკითხულობთ 1919 წლის 2 იანვრის მიმართვის ტექსტში.

აღსანიშნავია, რომ დამფუძნებელი კრების არჩევა საქართველოში ჯერ კიდევ 1917 წლის ნოემბერში მოწვეულ პირველ ეროვნულ ყრილობაზე გადაწყდა.[7] მოგვიანებით იგი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტშიც საგანგებოდ აღინიშნა.

საქართველოს პარლამენტმა დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება 1918 წლის 22 ნოემბერს მიიღო. ,,დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა" არის უაღრესად პროგრესული და მაღალი ღირებულებების მატარებელი. იგი შედგება 10 თავისა და 119 მუხლისაგან. დოკუმენტის პირველ თავს ეწოდება „საერთო დებულება" და მასში წარმოდგენილია არჩევნების ზოგადი პრინციპები. პირველი მუხლით, არჩევნები განსაზღვრულია, როგორც

[5] *ო. ჯანელიძე,* საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები, თბ., 2018. გვ. 207.
[6] https://on.ge/story/56782-26
[7] *ო. ჯანელიძე,* საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები, თბ., 2018. გვ. 208.

საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული. მეორე მუხლით, რესპუბლიკის მთელი ტერიტორია დადგინდა ერთ საარჩევნო ოლქად, რომელიც დაიყო საარჩევნო უბნებად; დამფუძნებელი კრების წევრთა რაოდენობა 130 დეპუტატით განისაზღვრა.[8]

საარჩევნო დებულების მეორე თავი მოიცავს საარჩევნო უფლებებს, რომლის მიხედვით, ხმის მიცემა შეუძლია 20 წელს მიღწეულ რესპუბლიკის ორივე სქესის მოქალაქეს. თავი ასევე განსაზღვრავდა იმ პირთა წრეს, ვისაც არ ჰქონდა საარჩევნო პროცესებში ჩართვის უფლება. ესენი იყვნენ გიჟები, ყრუ-მუნჯები, სხვისი მზრუნველობის ქვეშ მყოფნი და პატიმრები.[9]

დოკუმენტის მესამე თავი საარჩევნო კომისიებს ეძღვნება. დეტალურადაა განსაზღვრული მათი შემადგენლობა და საქმიანობის წესი. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 21 წევრი შედიოდა. აღსანიშნავია რომ, კომისია საკმაოდ დემოკრატიულად დაკომპლექტდა. კომისიის თავჯდომარე გახდა სოციალ-დემოკრატი ალექსანდრე ლომთათიძე, მის მოადგილედ დაინიშნა სოციალისტ-ფედერალისტი თედო ღლონტი, ხოლო ხაზინადარი იყო ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გვაზავა.[10] რადგან ქართულ პოლიტიკურ სპექტრში წამყვანი ძალა სოციალ-დემოკრატები იყვნენ, მათ კომისიაში 7 წევრი ჰყავდათ, ორ-ორი წევრი ჰყავდათ ეროვნულ-დემოკრატებს, სოციალისტ-ფედერალისტებსა და სოციალისტ-რევოლუციონერებს. რაც შეეხება სხვა საარჩევნო სუბიექტებს, ისინი თითო წევრით იყვნენ კომისიაში წარმოდგენილნი.

მეოთხე და მეხუთე თავი შეეხება საარჩევნო და საკანდიდატო სიების განსაზღვრას. გათვალისწინებული იყო ყველა ნიუანსი, რასაც შეიძლებოდა ხელი შეეშალა დემოკრატიული საარჩევნო პროცესისათვის და კანონის საფუძველზე დადგენილი იყო მათი აღმოფხვრის პროცედურა.

შემდეგი თავები ეთმობა უშუალოდ საარჩევნო პროცესის ადმინისტრირებას. მუხლობრივადაა განხილული ბარათების გაცემისა და დათვლის საკითხი, ასევე შედეგების კანონიერება.

რესპუბლიკის დემოკრატიულ სიმწიფეზე განსაკუთრებით მეტყველებს საარჩევნო დებულების მეცხრე თავი. თანამედროვე გადმოსახედიდანაც კი, შესაშურად კარგად იყო განსაზღვრული საარჩევნო პროცესზე მოქმედი უამრავი არასამართლიანი ქმედება და მათზე პასუხისმგებლობის საკითხი. ასე მაგალითად, 93-ე მუხლი კრძალავდა სააგიტაციო მასალის განადგურებას და სასჯელად ადგენდა ერთთვიან დატუსაღებას ან ფულად ჯარიმას.[11] 95-ე, 96-ე და 97-ე

[8] დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა, თბ, 1918, გვ, 1.
[9] იქვე.
[10] პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში, თბ., 2017, გვ. 18-19.
[11] დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა, თბ, 1918 . გვ. 25.

მუხლები დაუშვებლად მიიჩნევდა ყველანაირი სახის დეზინფორმაციის გავრცელებას, 99-ე მუხლი კრძალავდა ეკლესიებსა და სხვა ღვთისმსახურების ადგილებში პოლიტიკურ აგიტაციას. მე-9 თავით პატიმრობით ისჯებოდა ყველა ის პირი, ვინც „დააშინებს ან რაიმე სახით მოისყიდის ამომრჩეველს და ხელს შეუშლის თავისუფალი საარჩევნო ნების აღსრულებას“.[12]

დამფუძნებელი კრების არჩევნების თარიღად დაინიშნა 1919 წლის 14-16 თებერვალი. ეროვნული ხაზინიდან გამოიყო 4 მილიონი მანეთი. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა კი 876910 მოქალაქეს შეადგენდა.[13]

საარჩევნო კომისიამ ჯამში 15 პოლიტიკური სუბიექტი დაუშვა არჩევნებში. ესენი იყვნენ: №1 საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია; №2 ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; №3 სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია; №4 დაშნაკცუთიუნი; №5 სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია; №6 მუსულმანთა ეროვნული საბჭო; №7 საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია; №8 საქართველოს ეროვნული პარტია; №9 საქართველოს მაშვრალთა პარტია; №10 შოთა რუსთაველის ჯგუფი; №11დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი; №12 ბორჩალოს მაზრის მცხოვრებთა სია; №13 რსდმპ; №14 პატრიოტთა ესტეტიური ლიგა; №15 საქართველოს ელინთა დემოკრატიული ჯგუფი.[14]

1919 წლის დასაწყისიდან მოყოლებული პარტიებმა აქტიური პროპაგანდისტული ბრძოლა დაიწყეს არჩევნებში სასურველი შედეგის მიღების მიზნით. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ყველა წამყვან პოლიტიკურ ძალას საკუთარი გაზეთი ჰქონდა და თავის ელექტორატს ხმას მათი საშუალებით აწვდიდა. სოციალ-დემოკრატებს ზურგს უმაგრებდა გაზეთი ,,ერთობა“, ეროვნულ-დემოკრატებს გაზეთი ,,საქართველო“, სოციალისტ-ფედერალისტებს გაზეთი ,,სახალხო საქმე“, ხოლო ესერებს გაზეთი ,,შრომა“.

ბეჭდური პრესა ერთის მხრივ დამფუძნებელი კრების არჩევნების მნიშვნელობაზე აკეთებდა აქცენტს, ხოლო მეორეს მხრივ, საკუთარი ფავორიტი პარტიების პოლიტიკურ პლატფორმას აცნობდა მკითხველებს. გაზეთი ,,საქართველოს“ 1919 წლის 25 იანვრის ნომერში შეგვიძლია ამოვიკითხოთ შემდეგი მიმართვა: ,,საქართველოს მამულიშვილნო! ახლოვდება არჩევნები დამფუძნებელი კრების, ყოველი ქართველი მამულიშვილი ვალდებულია მხურვალე და შეგნებული მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. ჩაეწერეთ სიებში თუ გამოტოვებული ხართ, დაიცავით არჩევნებში თქვენი უფლებები. დაიცავით თავისუფლება და კანონი.“[15] გაზეთი ,,შრომა“ კი სოციალისტ-რევოლუციონერებს

---

[12] დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა, თბ, 1918. გვ. 26-29.

[13] *ო. ჯანელიძე,* საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები, თბ., 2018. გვ. 210.

[14] *ბ. კუპატაძე,* დამფუძნებელი კრება, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბ, 2018, გვ. 113.

[15] გაზეთი ,,საქართველო”, № 19, 1919, 25 იანვარი.

ასხამდა ხოტბას და სოციალიზმის უპირატესობაზე საუბრობდა. „თავისუფალ მიწაზე თავისუფალი მიწის მუშა, სოციალისტური ძალაუფლებიდან - სოციალიზმისკენ.“[16]

არჩევნების მოახლოებასთან ერთად, დაპირისპირება სულ უფრო და უფრო გამწვავდა არჩევნებში მონაწილე პარტიებს შორის. საკუთარი თავის პოზიციონირების გარდა, მათ უკვე კონკურენტების ,,გაშავება“ დაიწყეს. პრესაში, სააგიტაციო მასალებზე და სიტყვით გამოსვლის დროსაც კი პოლიტიკოსები არ ერიდებოდნენ მოწინააღმდეგეების მიმართ დისკრედიტაციის შემცველი განცხადებების გამოყენებას. ასე მაგალითად, სოციალ-დემოკრატები ეროვნულ-დემოკრატებს ადანაშაულებდნენ ვაჭრებისა და მემამულეებისადმი მიკერძოებაში, ხოლო თავის მხრივ, ეროვნულ-დემოკრატები ეჭვ-ქვეშ აყენებდნენ სოციალ-დემოკრატების დემოკრატიულობას.[17]

პოლიტიკური პარტიების ძალისხმევ შედეგი გამოიღო. 1919 წლის 14-16 თებერვლის არჩევნებს საზოგადოება გულისყურით მოეკიდა და ელექტორატის 58 % - იანი აქტივობაც დაფიქსირდა. არჩევნები ვერ ჩატარდა აფხაზეთში, ბორჩალოს მაზრაში, ახალქალაქსა და ახალციხეში, ასევე სვანეთის, თიანეთისა და დუშეთის ნაწილში. მიზეზები სხვადასხვა იყო. აფხაზეთში ეს განაპირობა იქ მიმდინარე თვითმმართველობის არჩევნებმა. სამცხეში სომხეთთან მომხდარმა ომმა, ხოლო საქართველოს მთიანეთში -დიდთოვლობამ.[18]

ბოლშევიკების ბოიკოტის მიუხედავად, არჩევნები მშვიდობიან ვითარებაში ჩატარდა. შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობა საარჩევნო კომისიასთან და მაქსიმალურად უზრუნველყოფდა საარჩევნო პროცესის კანონიერებას.

არჩევნების შედეგი არ ყოფილა მოულოდნელი. მასში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ. ხმათა 84 პროცენტით 130 კაციან დამფუძნებელ კრებაში 109 მანდატი სწორედ მათ მოიპოვეს. 8-8 წევრით შეავსეს დარჩენილი ადგილები ეროვნულ-დემოკრატებმა და სოციალისტ-ფედერალისტებმა. 5 ადგილი ერგოთ სოციალისტ-რევოლუციონერებს.

დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა გაიმართა 1919 წლის 12 მარტს. სხდომა გახსნა კრების უხუცესმა წევრმა სოციალ-დემოკრატმა სილიბისტრო ჯიბლაძემ. ,,საჭიროა მეფის თვითმპყრობელობის ნანგრევებზე ხალხის თვითმპყრობელობის გამაგრება, ძველის საფლავზე ახალ, მტკიცე საძირკვლის

[16] გაზეთი „შრომა“, 1919 წ., 8 თებერვალი.

[17] შ. კეჟერაშვილი, 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნები და პოლიტიკური პარტიების პროგრამები, სამაგისტრო ნაშრომი, თბ, 2019, გვ. 71.

[18] ო. ჯანელიძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები, თბ., 2018. გვ. 220.

დაფუძნება. აი აქედან წარმოდგება ჩვენი მეორე იდეალი: სრულ-უფლებიანი დამფუძნებელი ყრილობა,“[19] - განაცხადა დეპუტატმა.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავჯდომარედ არჩეული იქნა ნიკოლოზ ჩხეიძე. მისი პირველ მოადგილედ - ალექსანდრე ლომთათიძე. დემოკრატიული ღირებულებებიდან გამომდინარე, დამფუძნებელი კრების თანამდებობის პირები გახდნენ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებიც. თავჯდომარის მოადგილეები გახდნენ ეროვნულ-დემოკრატი ექვთიმე თაყაიშვილი და სოციალისტ-ფედერალისტი სიმონ მდივანი. მდივნობა დაევალათ ესერ გიგო ნათაძესა და სოციალ-დემოკრატ ქრისტინე შარაშიძეს. პირველივე სხდომაზე დეპუტატებმა ხელმოწერებით უცვლელად დაამტკიცეს 1918 წლის 26 მაისს ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევა განპირობებული იყო პრაქტიკული აუცილებლობით. ქვეყნის წინაშე იდგა უამრავი გამოწვევა და პრობლემა, რომელთა გადაჭრაში თავისი მნიშვნელოვანი სიტყვა დემოკრატიული გზით არჩეულ საკანონმდებლო ორგანოს უნდა ეთქვა. მხოლოდ ხალხის მიერ მინიჭებული ლეგიტიმაცია მისცემდა ხელისუფლებას აქტიური მოქმედებების საშუალებას. მაშ რა დანიშნულება ჰქონდა საქართველოს დამფუძნებელ კრებას? რა მიზნები და ამოცანები იდგა მის წინაშე?

პირველი და უმთავრესი დანიშნულება დამფუძნებელი კრების, რა თქმა უნდა, კონსტიტუციის შემუშავება და დამტკიცება იყო. ამასთან, კრებას ზოგადად საკანონმდებლო საქმიანობაც ევალებოდა. ქვეყანას, რომელსაც თავისუფლად არ უარსებია უკანასკნელი ერთი საუკუნის მანძილზე, სჭირდებოდა ყველა სახის კანონი, რათა სახელმწიფო მოქცეულიყო ლეგალურ ჩარჩოებში და არ დაესადგურებინა ანარქიას. წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მიღებული კანონებიდან აღსანიშნავია კანონი მოქალაქეობის შესახებ, რომლის მიხედვითაც, საქართველო მოქალაქე ხდებო ყველა ის პირი, რომელიც მიწერილი იყო ჩვენი ქვეყნის რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულზე 1914 წლის 19 ივლისამდე. მნიშვნელოვანი იყო ის ეკონომიკური შინაარსის მქონე კანონები, რომელიც მემარცხენე ხელისუფლების მმართველობის პირობებში დამტკიცდა დამფუძნებელი კრების მიერ. ასეთებია: კანონი აგრარული რეფორმის, კანონი წიაღისეულის ნაციონალიზაციისა და შრომითი ხელშეკრულების შესახებ. კრებამ ასევე დაამტკიცა კანონი სახელმწიფო მონოპოლიების შესახებ, კანონი სახელმწიფო ბანკის დაარსების, მიიღო უზენაესი სასამართლოს - სენატის დებულება და კანონი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საქართველოს პირველმა დემოკრატიულად არჩეულმა საკანონმდებლო ორგანომ

[19] საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. I, 1919 წლის 12 მარტი - 27 მაისი, თბ, 2019, გვ. 19.

მიიღო ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი დოკუმენტი, საქართველოს კონსტიტუცია.

დამფუძნებელი კრების აქტიურ კანონშემოქმედებით საქმიანობაზე მეტყველებს 1920 წლის 18 მარტის გაზეთი ,,ერთობის" ნომერი, რომელიც წარმოაჩენს საკანონმდებლო ორგანოს ერთწლიან მოღვაწეობას. ,,წლის განმავლობაში დამფუძნებელი კრების განსახილველად შემოვიდა სხვადასხვა ხასიათის საკანონმდებლო აქტი, სულ 415." [20] გაზეთში დეტალურადაა კლასიფიცირებული სამართლებრივი აქტები, იმის მიხედვით თუ ვინ იყო მათი ინიციატორი, რა სახის იყო ან რომელ დარგს მიეკუთვნებოდა.

„ ინიციატივის შედეგი განაწილებით:

- მთავრობისა – 12
- შინაგან საქმეთა მინისტრისა – 77
- გარეშე საქმეთა მინისტრისა – 5
- ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა – 54
- მიწათმოქმედების მინისტრისა – 33
- გზათა მინისტრისა – 49
- იუსტიციის მინისტრისა -19
- განათლების მინისტრისა – 36
- შრომის მინისტრისა – 13
- სამხედრო მინისტრისა -28
- სახელმწიფო კონტროლისა – 2

სულ მთავრობიდან – 329

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისა და კომისიებისა:

- პრეზიდიუმისა – 16
- საკონსტიტუციო კომისიისა – 3
- იურიდიული კომისიისა – 14
- საბიუჯეტო-საფინანსო კომისიისა – 12
- სამხედრო კომისიისა – 16
- ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის კომისიისა – 7
- განათლების კომისიისა – 5
- ხელოვნების კომისიისა – 2
- სარეგლამენტო კომისიისა – 1
- საბიბლიოთეკო კომისიისა – 1
- აგრარული კომისიისა -2

სულ პრეზიდიუმისა და კომისიებისაგან – 79

[20] გაზეთი ,,ერთობა" № 63, 1919, 18 მარტი.

ფრაქციებისა:

- სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისა – 6
- ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციისა – 1
- ეროვნული ფრაქციისა – 1

სულ ფრაქციებისგან – 8

სულ - 415

ამ საკანონმდებლო აქტებიდან:

- კანონპროექტის სახით იყო – 114
- დეკრეტის სახით – 280
- დადგენილების სახით – 11
- დებულების სახით – 7
- რატიფიკაციის სახით – 3

სულ – 415

კლასიფიკაცია ამ საკანონმდებლო აქტებისა - თავისი ხასიათისა და შინაარსის მხრივ უნდა იქნეს შემდეგი:

- დამფუძნებელი კრების შინაგანი განწესრიგებისა - 3;
- უზენაესი გამგებლობა - 4;
- საკონსტიტუციო - 10;
- უმაღლესი დაწესებულებათა დაარსებისა - 5;
- საერთაშორისო უფლებისა - 3;
- საადმინისტრაციო უფლებისა - 10,
- სამოქალაქო უფლებისა - 12
- სისხლის სამართლის უფლებისა - 7;
- აგრარული ხასიათისა - 7;
- საემისიო უფლებისა - 5;
- საბიუჯეტო უფლებისა - 4;
- სახელმწიფო ფისკალური საკითხისა - 31,
- ბიუჯეტის და მისი ნაწილებისა - 6;
- სახელმწიფო დაწესებულებათა ორგანიზაციისა და მისი შენახვის ხარჯისა - 144;
- სახელმწიფო სამეურნეო და სხვადასხვა ხარჯისა - 56;
- კულტურული საგანმანათლებლო ხარჯისა - 22;
- სესხის გაცემისა - 12;
- სახელმწიფო დახმარება მკვიდრთათვის - 5;
- საპენსიო და სალიკვიდაციო ხასიათისა - 4;
- შრომისა და მუშათა საკითხისა - 8;

- სათვითმმართველობო - 4;
- ვაჭრობა - მრეწველობისა - 10
- სამხედრო საკითხებისა - 43

სულ - 415

ამ საკანონმდებლო აქტებიდან:

- ✓ განხილულია და მიღებული – 278
- ✓ გაუქმებულია ან ერთი მეორეში ჩართული იქმნა – 12
- ✓ უწყებას უკან დაუბრუნდა – 33
- ✓ დარჩა განუხილველი – 92

სულ – 415.[21]

საკანონმდებლო აქტების კლასიფიკაციაზე დაკვირვება გვაძლევს შესაძლებლობას, რომ დავინახოთ დამფუძნებელი კრების სხვა ფუნქციებიც. მათ შორის აღსანიშნავია სახელმწიფოს მხრიდან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირება. ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანი იყო 1919 წლის 16 ივნისის სამხედრო ხელშეკრულება საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის. 3 წლიანი ვადით გაფორმებული შეთანხმება მხარეებს ავალდებულებდა ერთიანი ძალებით დაეცვათ თავი საგარეო საფრთხის წინააღმდეგ. ამ ხელშეკრულებას პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა, რადგან ის იძლეოდა საშუალებას ეს ორი სახელმწიფო ერთიანი ძალებით გამკლავებოდა თეთრგვარდიელთა მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეს. ხელშეკრულების რატიფიცირება საქართველოს დამფუძნებელ კრებაში 1919 წლის 22 ივნისს განხორციელდა.[22]

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩანს, რომ კრების უფლებამოსილება იყო საგრეო პოლიტიკური ვექტორის განსაზღვრაც. იგი წყვეტდა ომის გამოცხადების, საზავო და სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმების საკითხს. უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს პრეროგატივა იყო ამნისტიის გამოცხადება, ბონის ემისიის ოდენობის განსაზღვრა და ფისკალური პოლიტიკის გატარება, ასევე, იგი ადგენდა სახელმწიფო დაწესებულებათა ბიუჯეტს, სტიპენდიას უნიშნავდა უცხოეთში სასწავლებლად წასულ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს და აწესებდა ოფიციალურ უქმე დღეებს.[23]

დამფუძნებელი კრების დანიშნულება არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ საკანონმდებლო საქმიანობით, მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლი. საკანონმდებლო ორგანოს ეს

---

[21] გაზეთი ,,ერთობა“ № 63, 1919, 18 მარტი.

[22] *ო. ჯანელიძე,* საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები, თბ., 2018. გვ. 233.

[23] *ბ. კუპატაძე,* დამფუძნებელი კრება, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბ, 2018, გვ. 114.

უფლება მოგვიანებით კონსტიტუციითაც განმტკიცდა. 1921 წლის კონსტიტუციის 59-ე მუხლში წერია: ,,პარლამენტის წევრთ უფლება აქვთ მთავრობის მიმართ შეკითხვის შეტანისა და კითხვის მიცემისა, წესი შეკითხვის შეტანისა და კითხვის მიცემისა განისაზღვრება კანონით ან რეგლამენტით.“ 72-ე მუხლის თ ქვეპუნქტი კი მთავრობის თავჯდომარეს ავალდებულებს ,,ანგარიში აძლიოს პარლამენტს თავის მოქმედებისა და წელიწადში ერთხელ მაინც წარუდგინოს მოხსენება საქართველოს შინაგან და საგარეო მდგომარეობის შესახებ; წარუდგინოს აგრეთვე განსაკუთრებული მოხსენება, უკეთუ პარლამენტმა მოითხოვა, და შეასრულოს ყოველივე, რაც კანონს ან პარლამენტს მისთვის დაუვალებია.“

ამრიგად, საზოგადოების მიერ არჩეული დამფუძნებელი კრება იყო ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელსაც ,, ახლად აღდგენილი ქართული სახელმწიფოს იერ-სახის განსაზღვრა, სახელმწიფოებრივი წეს-წყობილების სამართლებრივ საფუძველზე დამკვიდრება, ქვეყნის უმთავრესი კანონის - კონსტიტუციის შემუშავება და დამტკიცება ევალებოდა. კრება განახლებული საქართველოს პოლიტიკური მესაძირკვლე უნდა გამხდარიყო. დამფუძნებელი კრების მეშვეობით მოსახლეობას შესაძლებლობა ეძლეოდა გამოეთქვა აზრი, გამართლებული იყო თუ არა პოლიტიკური პარტიების გადაწვეტილება, დაემტკიცებინა ან საერთოდ უარეყო საქართველოს დამოუკიდებლობა.“[24]

[24] *ო. ჯანელიძე,* საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები, თბ., 2018, გვ. 209.

II თავი: ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებაზე მომუშავე დამფუძნებელი კრების მუდმივი და დროებითი კომისიები

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ საკუთარი რეგლამენტი 1919 წლის 25 აპრილს, მეთორმეტე სხდომაზე მიიღო. ახლად არჩეული საკანონმდებლო ორგანოს სარეგლამენტო კომისია შინაგანაწესის შედგენისას ხელმძღვანელობდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს, ამიერკავკასიის სეიმისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტებზე დაყრდნობით.[25] რეგლამენტმა, რომელიც შედგებოდა 8 თავისა და 172 მუხლისაგან, განსაზღვრა დამფუძნებელი კრების სტრუქტურა, კერძოდ წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობას კოორდინირებას გაუწევდა მმართველი რგოლი პრეზიდიუმის სახით. დებულებამ პარტიებს პოლიტიკური ნიშნით გაერთიანების მიზნით საშუალება მისცა კრების შიგნით დაერეგისტრირებინათ ფრაქციები. თავდაპირველად ოთხი პოლიტიკური ჯგუფი გარდაიქმნა ოთხ ფრაქციად. დამფუძნებელი კრების არსებობის მანძილზე ფრაქციათა რიცხვი ჯამში 8-მდე გაიზარდა.[26]

გარდა ფრაქციებად გაერთიანებისა, დეპუტატები გადანაწილდნენ დარგობრივ საკითხებზე მომუშავე კომისიებში. აღსანიშნავია, რომ ძირითადად კრების კანონშემოქმედებითი საქმიანობა სწორედ ამ კომისიებში მიმდინარეობდა. 1919 წლის 18 მარტს დამფუძნებელმა კრებამ დაიწყო კომისიების არჩევა და დაკომპლექტება. მესამე სხდომაზე დეპუტატები გადანაწილდნენ 4 კომისიაში, ესენი იყვნენ: სარეგლამენტო, საკონსტიტუციო, საფინანსო-საბიუჯეტო და სარედაქციო კომისიები.[27] იმავე წლის 29 მარტს, მეექვსე სხდომაზე, სოციალ-დემოკრატმა გრიგოლ ურატაძემ დამატებით შემოიტანა 9 კომისიის შექმნის წინადადება. დეპუტატმა პლენარულ სხდომაზე დაასახელა შემდეგი კომისიები: შრომის, თვითმმართველობის, აგრარული, სახალხო განათლების, სახალხო ჯანმრთელობის, სამხედო, იურიდიული, ხელოვნებისა და საგზაო. [28] საკითხის განხილვამდე ეროვნულ-დემოკრატების ორმა წევრმა გიორგი გვაზავამ და ექვთიმე თაყაიშვილმა დღის წესრიგში კიდევ ორი კომისიის შექმნა შემოიტანეს. გვაზავას საგარეო საქმეთა, ხოლო თაყაიშვილის საბიბლიოთეკო კომისიის შექმნა სურდათ. ამ ეტაპზე სხდომა დაეთანხმა ურატაძისა და თაყაიშვილის წინადადებებს, ხოლო გიორგი გვაზავას წინადადება უარყოფილ იქნა. [29]

---

[25] საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. I, 1919 წლის 12 მარტი - 27 მაისი, თბ, 2019, გვ. 185.

[26] http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/

[27] საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. I, გვ. 60.

[28] საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. I, გვ. 152.

[29] საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. I, გვ. 154.

თუმცა, გიორგი გვაზავამ 1919 წლის 6 მაისს, მეცამეტე სხდომაზე, თავიდან დააყენა საგარეო საქმეთა კომისიის არჩევის საკითხი. ,,ბატონებო! აქ არის ინგლისის ჯარი, ჩვენ გვექნება მოლაპარაკება სხვა სახელმწიფოსთანაც, მაგალითად საფრანგეთთან, აუცილებელი იქნება დაჭერა თავისებური განწყობილებისა ამერიკასთან. ერთი სიტყვით, ყოველ დღეს შეიძლება წამოიჭრას ისეთი საკითხი, რომლითაც შეიძლება მოხდეს ჩვენი ბედის გადაწყვეტა. როგორ შეიძლება, რომ დამფუძნებელ კრებამ თვითონ არ მიიღოს დაახლოვებული მონაწილეობა ამისთანა საქმეების წარმოებაში?“ [30] - განაცხადა დამფუძნებელი კრების ეროვნულ-დემოკრატმა წევრმა. მისმა ორატორულმა ნიჭმა საბოლოოდ შედეგი გამოიღო და კომისიების რიცხვს საგარეო საქმეთა კომისიაც დაემატა.

ორწლიანი ფუნქციონირების განმავლობაში დამფუძნებელ კრებაში შეიქმნა კიდევ რვა კომისია. სხვადასხვა დროს ზემოთ ხსენებულ სამუშაო ჯგუფებს დაემატათ სამეურნეო-საგამგეო, მომარაგების, საპენსიო, საპროპაგანდო, ტექნიკური, სარეკომენდაციო, სამანდატო და ცენტრალური საარჩევნო კომისია.[31]

აღნიშნული კომისიებიდან 5 იყო მუდმივმოქმედი, (საკონსტიტუციო, საფინანსო-საბიუჯეტო, სარედაქციო, სამეურნეო-საგამეგო და საბიბლიოთეკო) ხოლო დანარჩენი 18 იყო დროებითი სტატუსის მქონე. მოგვიანებით, დაარსდა ახალი მცირე კომისიები, რომელთა მიზანსაც შეადგენდა დარგობრივი სამინისტროების რევიზია.[32] მცირე კომისიები ასეთი შინაარსის საერთო ინსტრუქციით სარგებლობდნენ:

- მცირე კომისია ირჩევს თავის წრიდან თავმჯდომარეს და მდივანს;
- მცირე კომისია, თუ საჭიროთ დაინახავს, იწვევს მცოდნე პირებს მცირე კომისიაში სამუშაოდ, რასაც ატყობინებს პირადად კომისიას;
- მცოდნე პირები მუშაობენ კომისიის წევრების ხელმძღვანელობით და დავალებით; დამოუკიდებლად მათ არ შეუძლიათ მოსთხოვონ უწყებას ცნობები ან რაიმე ნაბიჯები გადადგან;
- მცირე კომისია ადგენს ოქმს, ხელს აწერს კომისიის წევრები და უწყების წარმომადგენელი, რომელიც კომისიის მუშაობას დაესწრო; უკანასკნელი აღნიშნავს ოქმზე, თუ რამე შენიშვნები აქვს;
- აქტის ასლს კომისია უტოვებს იმ დაწესებულებას, სადაც მუშაობას აწარმოებდა;

---

[30] საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. I, გვ. 344.

[31] http://firstrepublic.ge/ka/theme/54

[32] *კუპატაძე ბ.* დამფუძნებელი კრების კომისიები, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018, გვ. 119.

- თუ რაიმე ისეთი ბოროტმოქმედება ან ნაკლულევანება აღმოაჩინა კომისიამ, რომელიც სასწრაფო ზომების მიღებას საჭიროებენ, კომისია ატყობინებს სათანადო უწყებას. ასეთ შემთხვევებს კომისია აცნობებს ძირითად კომისიას;
- თავის მუშაობის მდგომარეობის შესახებ კომისია დროგამოშვებით აცნობებს ძირითად კომისიას;
- მცირე კომისია ადგენს მოხსენებას ძირითად კომისიისათვის;
- მცირე კომისია, სანამ მოხსენებას შეადგენდეს, შედგენილ ოქმების ასლს უგზავნის სათანადო უწყებას განმარტებისათვის განსაზღვრულ ვადაში;
- ძირითადი კომისია მოისმენს მოხსენებას და აძლევს მას შესაფერს მსვლელობას.[33]

ზემოთ ხსენებული 23 კომისიიდან სოციალური პოლიტიკისა და ეკონომიკის მიმართულებით მუშაობდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო, აგრარული, გზათა, მომარაგების, საპენსიო, სახალხო ჯანმრთელობისა და შრომის კომისიები.

ყველაზე რთულ და შრომატევად საქმიანობას ახორციელებდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისია. მისი შემადგენლობა აუცილებლობიდან გამომდინარე დაკომპლექტდა კრების მესამე სხდომაზევე. სოციალ-დემოკრატებიდან საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები გახდნენ: დიომიდე თოფურიძე, ნიკოლოზ ელიავა, ნოე ცინცაძე, დავით ონიაშვილი, ანდრია ჭიაბრიშვილი, იოსებ ელიგულაშვილი, დავით შარაშიძე, კონსტანტინე ფანიევი, გრიგოლ ურატაძე და ივანე ჭავჭანიძე. ესერებმა კომისიის წევრად დაასახელეს გრიგოლ ნათაძე, ხოლო ეროვნულ-დემოკრატებმა გერონტი ქიქოძე და ალექსანდრე ასათიანი. [34] კომისიის წევრთა რაოდენობა მოგვიანებით რამდენჯერმე შეიცვალა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავჯდომარე გახდა სოციალ-დემოკრატი დიომიდე თოფურიძე, რომელიც პარალელურად პუბლიცისტურ საქმიანობას ეწეოდა. იგი იყო რედაქტორი ჟურნალისა ,,ეკონომისტი.“ თავჯდომარის მოადგილე სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან ჯერ იყო ნოე ცინცაძე, ხოლო 1919 წლის 6 მაისიდან იგი იოსებ სალაყაიამ ჩაანაცვლა. მეორე მოადგილე იყო სოციალ-ფედერალისტი სიმონ მდივანი.[35]

რა თქმა უნდა, კომისიის მთავარი ფუნქცია იყო სახელმწიფოს მთავარი ფინანსური დოკუმენტის - ბიუჯეტის განხილვა. მისი პრეროგატივა იყო ასევე სხვადასხვა სახელმწიფო უწყებათა საფინანსო ხარჯთაღრიცხვისა და ხაზინის მიერ

---

[33] იურიდიული კომისიის სხდომა. გვ. 88.

[34] საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. I, გვ. 60.

[35] *გ. კუპატაძე,* დამფუძნებელი კრების კომისიები, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი, გვ. 119.

გასაწევი ხარჯების შესახებ დასკვნების მომზადება და მისი წარდგენა დამფუძნებელი კრების პლენარულ სხდომაზე. [36] საბიუჯეტო-საფინანსო კომისიასვე ევალებოდა დამფუძნებელ კრებაში შესული ყველა ეკონომიკური შინაარსის მქონე წინადადების განხილვა და მისი კანონპროექტის სახით მომზადება.

დამფუძნებელ კრებაში მნიშვნელოვანი იყო აგრარული კომისიის როლიც. მასზე იყო დამოკიდებული 1918 წლის გაზაფხულზე დაწყებული აგრარული რეფორმის კანონიერ ჩარჩოში მოქცევა და მისი ეფექტურად განხორციელება. საჭირო იყო სწრაფად შეექმნათ საკანონმდებლო ბაზა, რათა ადგილი არ ჰქონოდა სპეკულაციებს და ამავდროულად განსაზღვრულიყო მიწის გარშემო წარმოშობილი დავის მომგვარებელი ორგანო.

აგრარული კომისიაში არჩეული იყვნენ: თავმჯდომარე - კირილე ნინიძე (სდპ), თავმჯდომარის მოადგილე - ლავრენტი კიღურაძე (სდპ, შეიცვალა 06.VI.1919), ერმალოზ სირბილაძე (სდპ, შეიცვალა 30.IX.1919), დავით ჩხეიძე (სდპ), მდივანი - ალექსანდრე ასათიანი (ედპ), პავლე ბიული (სდპ), დიმიტრი გონაშვილი (სდპ), სარდიონ თევზაძე (სდპ), ილია კოპალეიშვილი (სდპ), იოსებ მაჭავარიანი (ედპ), აპოლონ სულაქველიძე (სდპ), ივანე ტატიშვილი (სდპ), ნიკოლოზ ქუმსიაშვილი (სდპ), რაფიელ ჩიხლაძე (სდპ, შეიცვალა 06.VI.1919), სიმონ ახმეტელაშვილი (სდპ), ვასილ ცაბაძე (სდპ), ბარნაბა ძველაია (სდპ), გრიგოლ რცხილაძე (სფპ, შეიცვალა 06.V.1919), თევდორე ღლონტი (სფპ), ლეონ შენგელაია (სრპ).[37]

ქვეყნის აღმასრულებელ შტოში არსებული გზათა დეპარტამენტი სახელმწიფოს ბიუჯეტს ყველაზე სოლიდური თანხებით ავსებდა. ინფრასტრუქტურის განვითარება ქვეყნის ეკონომიკაზე დადებითად მოქმედებდა, ამიტომ წარმომადგენლობით ორგანოში ღირსეული ადგილი ეკავა საგზაო კომისიას, რომელიც საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან ერთად კოორდინირებულად მოქმედებდა და ქმნიდა საკანონმდებლო ბაზას. გზების კომისიას ეხებოდა როგორც სახმელეთო, ასევე სარკინიგზო ტრანსპორტის შესახებ მისღები კანონების სრულყოფა. ეს კომისია მონაწილეობდა სატრანსპორტო ტარიფების დადგენაში, რკინიგზის სათავსოებში საქონლის შესანახი ვადებისა და საგზაო სფეროში დასაქმებულ ხალხთა ხელფასის ოდენობის განსაზღვრაში.

საგზაო კომისია დაკომპლექტდა 1919 წლის 29 მარტს. მისი წევრები სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან გახდნენ: მიხეილ კოვალევი, მოსე დავარაშვილი, პავლე წულაია, ფილიპე ლორია, ერმოლოზ კალაძე და მუხრან ხოჭოლავა. სოციალისტ-ფედერალისტებმა და ეროვნულ-დემოკრატებმა კომისიას თითო წევრი დაამატეს სიმონ

---

[36] *სამუშია ჯ.* დამფუძნებელი კრების საბიუჯეტო-საფინანსო კომისია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018, გვ. 122.

[37] *კუპატაძე ბ.* დამფუძნებელი კრების კომისიები, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921, ენციკლოპედია-ლექსიკონი, გვ. 119.

მდივანისა და ნიკო ნიკოლაძის სახით. მოგვიანებით საგზაო კომისიაში გაერთიანდნენ სოციალ-დემოკრატები გიორგი გაგლოევი და გრიგოლ ურატაძე, ხოლო ოპოზიციიდან - თეოდორე ღლონტი (სფპ). საგზაო კომისიის თავჯდომარე გახდა სოციალ-დემოკრატი ივანე ჭავჭანიძე.

ეკონომიკურ პროცესებზე გარკვეული ზეგავლენის მიზნით, 1919 წლის 7 ნოემბრის 59-ე სხდომაზე დღის წესრიგში დადგა სარეკომენდაციო კომისიის შექმნა. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ ინიცირებულ დროებით კომისიას უნდა მოეძებნა სახელმწიფო ბანკის გამგეობისა და საბჭოს თავჯდომარეობისათვის შესაფერისი კანდიდატები.[38]

დამფუძნებელმა კრებამ სარეკომენდაციო კომისიის წევრები მე-60-ე სხდომაზე აირჩია. კერძოდ, სოციალ-დემოკრატებმა დაასახელეს რაჟდენ არსენიძე, ივანე გომართელი და სილიბისტრო ჯიბლაძე. სოციალისტ-ფედერალისტებმა - გიორგი ლასხიშვილი, ეროვნულ-დემოკრატებმა - გიორგი გვაზავა, სოციალისტ-რევოლუციონერებმა იოსებ გობეჩია. კომისიის მეშვიდე წევრად აირჩა გრიგოლ ვეშაპელი (ეროვნული პარტია).[39]

სწორედ გრიგოლ ვეშაპელი აღმოჩნდა მომარაგების კომისიის შექმნის ინიციატორი 1919 წლის უკანასკნელ სხდომაზე. ,,აუცილებელია დაარსება მომარაგების კომისიისა, რათა ერთგვარი კონტაქტი იყოს მუდმივად უწყებასა და დამფუძნებელ კრებას შორის, ახლა კი ასეთი კონტაქტი არ არის,“[40] - აღნიშნა დეპუტატმა მომარაგების უწყების ცალკე სამინისტროდ გამოყოფის გარშემო გამართული მწვავე კამათის დროს.

მომარაგების კომისია ახალი სასესიო წლის დაწყებასთან ერთად დაკომპლექტდა. პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ განახლდა ყველა კომისია და დაემატა მომარაგების კომისიაც. 1920 წლის 16 მარტს კომისიის წევრები გახდნენ: აკაკი ჩხენკელი, ნიკოლოზ ელიავა, ვასილ ცაბაძე, ერიკ ბერნშტეინი, ელისაბედ ბოლქვაძე (ყველანი სოციალ-დემოკრატები), თედო ღლონტი (ფედერალისტი), ალექსანდრე ასათიანი (ედპ) და ილია ნუცუბიძე [41](ესერი).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების დეპუტატთა უმეტესობა მემარცხენე პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა, ამიტომ წარმომადგენლობით ორგანოში შრომითი უფლებების დაცვა ყოველთვის აქტუალური იყო. შრომითი კანონმდებლობის რეგლამენტაციისთვისა და შრომის სამინისტროს

---

[38] საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. III, 1919 წლის 28 ივლისი - 11 ნოემბერი, თბ, 2019, გვ. 468.

[39] საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. III, გვ. 501.

[40] საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. IV, 1919 წლის 14 ნოემბერი - 31 დეკემბერი, თბ, 2019, გვ. 430.

[41] საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. V, გვ. 483.

კონტროლის მიზნით, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ჩამოყალიბდა შრომის კომისია. კომისიამ განიხილა ასევე უქმე დღეების საკითხი.[42]

შრომის კომისიის თავჯდომარე იყო გერასიმე მახარაძე, მისი მოადგილე - ილია ბადრიძე, მდივანი მინადორა ტოროშელიძე. კომისიის პრეზიდიუმი მთლიანად სოციალ-დემოკრატებისაგან იყო დაკომპლექტებული. 2 წლიანი მოღვაწეობის პერიოდში შრომის კომისიაში სოციალ-დემოკრატებიდან ირიცხებოდნენ: ელისაბედ ბოლქვაძე, იოსებ ელიგულაშვილი, პავლე ბერიშვილი, ილია ფირცხალაიშვილი, ვიქტორ თევზაია, ფილიპე ლორია, ანდრეი ლოსკუტოვი, ილია კოპალეიშვილი, ვასილ ნოდია, ელეონორა ტერ-ფარსეგოვა მახვილაძისა და გერასიმე შევჩუკი. ეროვნულ-დემოკრატებიდან იყო ალექსანდრე ასათიანი, სოციალისტ-ფედერალისტებიდან - იოსებ ბარათაშვილი და სამსონ დადიანი, ხოლო სოციალისტ-რევოლუციონერებიდან - ლეონ შენგელაია.[43]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა რთულ რთულ სოციალ-ეკონომიკურ პირობებში შენდებოდა. მათ შორის არც ჯანდაცვის სისტემა იყო მოწესრიგებული. სიტუაციას ართულებდა ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გაუარესება. მძვინვარებდა ტიფი, ქოლერა და ესპანური გრიპი. ეს ყოველივე კიდევ უფრო ამძიმებდა სოციალურ მდგომარეობას. საჭირო იყო ეფექტური ღონისძიებების გატარება. ამ მხრივ აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტო შეთანხმებულად მოქმედებდნენ. დამფუძნებელ კრებაში შეიქმნა სახალხო ჯანმრთელობის კომისია, რომელიც ძალისხმევას არ იშურებდა ჯანდაცვის კანონმდებლობის მოსაწესრიგებლად.

სახალხო ჯანმრთელობის კომისიის წევრები იყვნენ: ვასილ ნოდია, ელეონორა ტერ-ფარსეგოვა მახვილაძისა, ვარლამ შერვაშიძე, იოსებ მაჭავარიანი. კომისიის თავჯდომარე იყო ივანე გომართელი, მოადგილე - მინადორა ტოროშელიძე, მდივანი - სიმონ ახმეტელაშვილი.[44]

სოციალური პოლიტიკის განხორციელების პროცესში სერიოზული ყურადღება დაეთმო საპენსიო პოლიტიკას. პირველ რესპუბლიკაში არც თუ ისე მცირე თანხა სწორედ პენსიით უზრუნველყოფაში იხარჯებოდა. დამფუძნებელმა კრებამ ყველაზე ბოლოს აირჩია საპენსიო წესდების კომისია, რომელსაც საპენსიო კანონმდებლობის სრულყოფა ევალებოდა.

კომისიის წევრების არჩევის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის 1920 წლის 18 აგვისტოს გაზეთ „ერთობის“ ნომერი. გაზეთში ვკითხულობთ: ,,არჩეული იქნა საპენსიო წესდების კომისია, კომისიაში შედიან: ზ. გურული, ე. მახვილაძე, ი. ფირცხალაიშვილი,

---

[42] შრომის კომისიის სხდომა, 1920 წლის 24 ნოემბერი, გვ. 400.

[43] *კუპატაძე ბ.* დამფუძნებელი კრების კომისიები, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი, გვ. 119.

[44] *კუპატაძე ბ.* დამფუძნებელი კრების კომისიები, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი, გვ. 119.

ო. სოლოღაშვილი, გრ. ვეშაპელი, გ. ტერ-სტეფანიანცი, ი. ბარათაშვილი, ი. გობეჩია და ალ. ასათიანი.“[45]

საქართველოს დამფუძნებელი კრების კომისიებში სამუშაო პროცესს წარმართავდნენ თავჯდომარე, მისი მოადგილე და მდივანი. გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა უბრალო ხმათა უმრავლესობით.

გარდა არსებული კომისიებისა, 1919 წლის 11 ივლისის 35-ე სხდომაზე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრს ალექსანდრე ასათიანს ჰქონდა სახალხო მეურნეობის კომისიის შექმნის იდეა. ,,მე ვფიქრობ, იმისთვის, რომ ჩვენ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში სისტემა გვქონდეს და იყოს მთლიანი გეგმა ეკონომიკური კითხვების გადასაჭრელად და მოსაგვარებლად, საჭირო არის დამფუძნებელ კრებაში იყოს ისეთი კომისია, რომელშიაც ეს საერთო გეგმა და საერთო გეზი შემუშავდება გარკვეული ეკონომიკური პოლიტიკის საწარმოებლად,“[46] - აღნიშნა სიტყვით გამოსვლისას დეპუტატმა. მისი აზრით, სახალხო მეურნეობის კომისიას უნდა განეხილა და გარეკვია ყველა რთული ეკონომიკური და ფინანსური საკითხი. კომისიის კომპეტენციაში უნდა შესულიყო სახელმწიფო ქონების ექსპლუატაციის, კონცესიების შემუშავებისა და სავაჭრო ხელშეკრულებების დადების წესები.

სახალხო მეურნეობის კომისიის შექმნის იდეა უარყო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავჯდომარე დიომიდე თოფურიამ. მისი შეხედულებით, ეკონომიკურ საქმიანობას საფინანსო-საბიუჯეტო კომისია კარგად ართმევდა თავს და არ იყო დამატებით ახალი კომისიის შექმნის საჭიროება. ,,ცალკე დაარსება ისეთ კომისიის, როგორიც სურს მომხსენებელს, კი არ გაადვილებს შრომას, უფრო გაართულებს, მეტ ხალხს მოინდომებს, მეტი წევრები დაგვჭირდება, მეტი დრო დაგვეკარგება და საბოლოოდ ის ისევ მივა საბიუჯეტო კომისიაში,“ [47] - განმარტა თოფურიამ. დამფუძნებელმა კრებამ გაითვალისწინა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრის პოზიცია და არ დააკმაყოფილა ალექსანდრე ასათიანის წინადადება. ამრიგად, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს აღარ დაემატა კიდევ ერთი ეკონომიკურ საკითხებზე მომუშავე კომისია.

[45] გაზეთი ,,ერთობა“, 1920 წ., 18 აგვისტო.
[46] საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. II, 1919 წლის 30 მაისი - 25 ივლისი, თბ, 2019, გვ. 355.
[47] საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. II, გვ. 357.

III თავი. დამფუძნებელი კრების სოციალური და ეკონომიკური შინაარსის სამართლებრივი აქტები.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ 1918 წელს ნანატრი დამოუკიდებლობა ურთულეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციაში მოიპოვა. 19-ე საუკუნიდან მოყოლებული რუსული კოლონიალიზმი მძიმე ტვირთად აწვა ჩვენს ქვეყანას. თავად ინდუსტრიულად და აგრარულად განუვითარებელი მეტროპოლია ყველანაირად უზღუდავდა დაპყრობილ პერიფერიას განვითარების საშუალებას. თუ სხვა ევროპულ სახელმწიფოებს საკუთარ კოლონიებში ეკონომიკური ცოდნა და ინვესტიციები შეჰქონდათ, ეკონომიკურად ჩამორჩენილი რუსეთი ვერც თავად ითვისებდა ჩვენ ბუნებრივ რესურსებს და არც საქართველოს აძლევდა თავისუფლად მოქმედების შესაძლებლობას.[48]

მძიმე სოციალური სურათი იყო სოფლად. მიუხედავად იმისა, რომ 1860-იან წლებში ბატონ-ყმობა გაუქმდა და გლეხები განთავისუფლდნენ, სათანადო აგრარული რეფორმის გარეშე ეს ყველაფერი მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. მდგომარეობას ამძიმებდა მიწათმოქმედებაში წარმოების ჩამორჩენილი საშუალებების გამოყენებაც.

თუმცა ბატონ-ყმობის გაუქმებამ გარკვეული სარგებელი მაინც მოიტანა. გლეხები აღარ იყვნენ სამუშაო და საცხოვრებელი ადგილის არჩევისას მემამულეებზე დამოკიდებულნი და გაჩნდა ახალი სოციალური ფენა თავისუფალ მუშათა სახით. ეს იყო ახალი სამუშაო ძალა და იგი წარმოადგენდა მთავარ დასაყრდენს კაპიტალისტური წყობის ასამუშავებლად. შედეგმაც არ დააყოვნა. მართალია, ძალიან ნელა, დაბალი ტემპით, მაგრამ მაინც შემოაღწია მეფის რუსეთში ახალმა ეკონომიკურმა მოდელმა და მისი გავლით საქართველოც ჩაება ამ ფერხულში.

რადგან იმპერიას არ ჰქონდა სათანადო რესურსი და ჩვენს ქვეყანაშიც არ იყვნენ ეკონომიკური საქმიანობის მცოდნე ადამიანები, თითქმის მთელი წარმოება გადავიდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების ხელში. ამის კარგი მაგალითია ჩვენს ქვეყანაში წარმოების მხრივ ყველაზე შემოსავლიანი საქართველოს რკინიგზა. მართალია 1865 წელს მისი მშენებლობა რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო, მაგრამ ორ წელში იგი 81 წლიანი საკონცესიო უფლებით გადაეცათ ინგლისელებს.[49] ანალოგიური სიტუაცია იყო შავი ზღვის პორტებშიც. დომინანტები იყვნენ ინგლისური, გერმანული და ფრანგული გემები.[50] ევროპელები ამუშავებდნენ ასევე მარგანეცის მადანს ჭიათურაში.

საბანკო-საფინანსო სექტორიც არ მუშაობდა ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ. აქ შეგროვებული ფული ძირითადად მომგებიან საქმეებში ბანდდებოდა და შემდეგ

---

[48] *კ. კანდელაკი,* საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, პარიზი, 1960, გვ. 15.
[49] *კ. კანდელაკი*, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, პარიზი, 1960 წელი, გვ. 20.
[50] იქვე, გვ. 21.

მთლიანი შემოსავალი რუსეთში იგზავნებოდა. ფინანსური აქტივების ასეთი მართვა და გადინება, რა თქმა უნდა ჩვენს ეკონომიკას დიდ ზიანს აყენებდა.[51]

რაც შეეხება ვაჭრობის საქმეს. ამ მხრივ სომეხი ეროვნების ხალხი დომინირებდა. 1876 წლის აღწერით, აღებ-მიცემობის 68 პროცენტს სწორედ სომხები აკონტროლებდნენ. მოგვიანებით სიტუაცია ოდნავ გამოსწორდა ქართველთა სასარგებლოდ.

ერთი სიტყვით, პირველი რესპუბლიკის დაარსების წინ საქართველოში პოლიტიკურ ძალაუფლებას ფლობდნენ რუსები, ხოლო ეკონომიკურს - სხვა უცხო ქვეყნების მოქალაქეები. ქართველები საკუთარ ქვეყანაში იყვნენ მმართულნი და ექსპლუტირებულნი.

პირველმა მსოფლიო ომმა ეკონომიკური მდგომარეობა ძალიან დაამძიმა. მზარდმა საომარმა ხარჯებმა ბოლომდე გაანადგურა რუსეთის იმპერიის სახალხო მეურნეობა. ომის დაწყებას მოჰყვა საზღვაო-სავაჭრო გზების ჩაკეტვა, რაც, რა თქმა უნდა, აისახა საქართველოზეც. ჭიათურაში შეწყდა მანგანუმის მოპოვება, ფოთში გაჩერდა კომერციული საქმიანობა. რადგან ბათუმის პორტი ახლოს იყო ფრონტის ხაზთან, მნიშვნელოვნად შემცირდა გემების შემოსვლა. მთელ საქართველოში განახევრდა საწარმოთა რაოდენობა.[52]

გლობალურმა კონფლიქტმა ზიანი მიაყენა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობასაც. შრომისუნარიან ადამიანთა უმრავლესობის არმიაშია წასვლამ გამოიწვია დეფიციტი მუშა ხელზე. აღარ იწარმოებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების იარაღი, შემცირდა ნათესები, აიკრძალა სპირტიანი სასმელებით ვაჭრობა, რამაც ხალხს ვენახის დამუშავებაზე უარი ათქმევინა. მოიშალა სარკინიგზო ტრანსპორტის ფუნქციონირება, რის გამოც შეწყდა პურის ფქვილის იმპორტი რუსეთიდან ამიერკავკასიაში.[53]

ქვეყანაში არსებული სიღარიბე ეკონომიკურმა კრიზისმა უკიდურეს ზღვრამდე მიიყვანა. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის საკვები და ჩასაცმელიც კი ფუფუნების საგნად იქცა. კლასებს შორის არსებული ანტაგონიზმი კიდევ უფრო გაიზარდა და ამ ყველაფერმა წყალი დაასხა მეცხრამეტე საუკუნეში აღმოცენებულ ახალ პოლიტიკურ მიმდინარეობაზე - სოციალიზმზე. სოციალიზმის ფუძემდებლად გვევლინება გერმანელი ფილოსოფოსი კარლ მარქსი, რომელმაც მანამდე არსებული ყველა შეხედულება ეკონომიკის შესახებ თავდაყირა დააყენა.

მარქსის ფილოსოფია დაფუძნებული იყო კაპიტალიზმის კრიტიკაზე და წარმოქმნიდა ახალ ეკონომიკურ მოდელს, რომელსაც სოციალიზმი ეწოდა.

---

[51] იქვე, გვ. 25.
[52] *ა. ბენდიანიშვილი,* საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ). თბ, 2001, გვ.25.
[53] იქვე, გვ. 26.

რა არის სოციალიზმი? ,,სოციალიზმი არის პოლიტიკური მსოფლმხედველობა ან საზოგადოების სოციალური ორგანიზაციის სისტემა, რომელიც ეფუძნება წარმოების საშუალებებზე, განაწილებასა და გაცვლაზე სახელმწიფო ან კოლექტიურ საკუთრებას; მისი მიზანია სოციალური სამართლიანობის, თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპების განხორციელება“.[54]

სოციალიზმის იდეას, რა თქმა უნდა, მუშათა კლასში დიდი მხარდაჭერა ხვდა წილად და მარქსისტული იდეები ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელ ევროპაში. მათ შორის გამონაკლისი არც რუსეთის იმპერია იყო. საქართველოში ოფიციალურად მისი პირველი აღიარება 1890-იან წლებიდან მოხდა. ასპარეზზე გამოვიდა ე.წ. ,, მესამე დასი“, რომელიც იყო პირველი მარქსისტული ორგანიზაცია საქართველოში. ამ ჯგუფმა საზოგადოებას თავის შესახებ აცნობა 1894 წლის 12 მაისს საკუთარი თანამოაზრის ეგნატე ნინოშვილის დასაფლავების დღეს.

ქართველმა სოციალისტებმა აქტიური მუშაობა დაიწყეს საზოგადოებაში. მათ მუშათა კლასში გააღვივეს რევოლუციური სულისკვეთება. დაიწყო საპროტესტო მოძრაობები, რომელიც მიმართული იყო მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

არაფერი ისე არ ასაზრდოებს სოციალისტურ მოძრაობას, როგორც ეკონომიკური კოლაფსი. ამიტომ ომმა საბოლოოდ გამოუთხარა ძირი მონარქიას და 1917 წლის თებერვალში რუსეთში მეფის ხელისუფლება დაემხო. თავდაპირველად ქართველ და რუს სოციალისტებს ერთობლივად სურდათ იმპერიის ტერიტორიაზე დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა, თუმცა ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალებამ, ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის გაჩენილმა იდეათა სხვადასხვაობამ და ახალმა გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ საქართველოს დამოუკიდებლობა დააყენა დღის წესრიგში.

ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოს ხელისუფლებას ლეგიტიმაციისთვის სჭირდებოდა საზოგადოების მხარდაჭერა. ამის კარგი საშუალება იყო დემოკრატიული არჩევნების გზით წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნა.

თუ გავითვალისწინებთ სოციალურ და ეკონომიკურ ფონს, საზოგადოების განწყობასა და ჩვენს ქვეყანაში არსებულ სიტუაციას, უკვე აღარ გაგვიკვირდება, რატომ აირჩია ქართველმა ხალხმა სოციალისტური პარტიების წარმომადგენლები განსაკუთრებული უპირატესობით. თუმცა სოციალისტურ პარტიებს შორის გამართულ დაპირისპირებაშიც სადეპუტატო მანდატების უდიდესი უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მოიპოვა. საინტერესოა, რამ განაპირობა მათი ასეთ

[54] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6773

მხარდაჭერა და რით გამოირჩნენ ისინი სოციალისტ-ფედერალისტებისა და სოციალისტ-რევოლუციონერებისგან?

ამის მიზეზს პირველი რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წევრი გრიგოლ ლორთქიფანიძე შემდეგნაირად ხსნის: ,,აი, ეს სოციალ-დემოკრატიულ პარტიად გარდაქმნილი მესამე დასი იყო ის მიმართულება ქართულ-საზოგადოებრივი აზროვნებისა, რომელმაც პირველათ გადასჭრა ხალხის მასებთან სულიერი კონტაქტისა და ორგანიზაციული კავშირის პრობლემა. და ჰპოვა მან გზა ხალხის მასათა გულისაკენ იმიტომ, რომ მისი იდეოლოგია იყო სწორი ანარეკლი იმ სოციალურ-პოლიტიკური ინტერესისა, რომელიც ასულდგმულებდა და ამოძრავებდა საზოგადოებრივ ასპარეზზე ახლად გამოსულ თავისუფალ შრომას“. [55] პოლიტიკოსი ამბობს, რომ ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა პოლიტიკურ პროცესებში ჩართეს უშუალოდ ხალხი და ეს იყო სწორედ გამარჯვების საწინდარი.

ამ მხრივ, შთამბეჭდავი იყო ის პოლიტიკური პლატფორმაც, რომელიც ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა წარუდგინეს ხალხის ფართო მასებს უშუალოდ 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნების წინ. ,,ამ სოციალისტური წყობილების დროს აღარ იქნება კლასთა ბრძოლა, ვინაიდან გაქრება თვით კლასები, აღარ იქნება მდიდარი და ღარიბი, გაყვლეფილი და გამყვლეფელი, გაუქმდება ფული და მასთან დაკავშირებული ბოროტ-მოქმედება. გაქრება დაჩაგვრა ერთი ერისაგან მეორე ერისა, ერთი სქესისაგან მეორე სქესისა: მთელი კაცობრიობა ერთსულოვან ძმურ ოჯახად გარდაიქმნება, ყველას საშუალება მიეცემა იშრომოს და მთელი თავისი ნიჭი, ცოდნა, უნარი საერთო ბედნიერებას და წარმატებას მოახმაროს“ [56] - ვკითხულობთ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინასაარჩევნო პლატფორმაში, რომელიც გაზეთ ,,ერთობის“ 1919 წლის 22 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა.

სოციალ-დემოკრატებს პოლიტიკურ პლატფორმაში ჰქონდათ გათვალისწინებული ყველა ის ასპექტი, რაც საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის საჭიროებას წარმოადგენდა, განურჩევლად სქესისა და ეთნიკური წარმომავლობისა. ისინი საზოგადოებს პირდებოდნენ აგრარული რეფორმის დასრულებას და მიწის ნაკვეთების გლეხობაზე გადანაწილებას. მუშათა კლასს აღუთქვამდნენ 8 საათიან სამუშაო დღის დაკანონებასა და 42 საათიან დასვენების უფლებას. სოციალ-დემოკრატების აზრით, სახელმწიფო უნდა ჩარეულიყო ეკონომიკური საქმიანობის ყველა ასპექტში, რადგან ეს იყო კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანის ერთადერთი გზა. პლატფორმაში ჩადებული იყო იდეა, ქვეყანაში პროგრესული გადასახადის შემოღების შესახებ, რათა საგადასახდო სიმძიმე დაკისრებოდათ შედარებით შეძლებულ ფენებს.

---

[55] *გ. ლორთქიფანიძე,* ფიქრები საქართველოზე, თბ, 1995, გვ 96.

[56] *მ. მაცაბერიძე,* სოციალისტური პარტიების წინასაარჩევნო პლატფორმები საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს, ქართული პარლამენტარიზმი, ტ. II, თბ, 2020, გვ. 43.

არჩევნებში გამარჯვებით სოციალ-დემოკრატებმა დამფუძნებელ კრებაში მიიღეს სრული უმრავლესობა. მათვე დააკომპლექტეს საკუთარი რიგებიდან მთავრობა და ამრიგად მენშევიკები მოგვევლინენ ქვეყანაში პოლიტიკური ამინდის განმსაზღვრელად.

1919 წელს საქართველო იდგა ურთულესი გამოწვევების წინაშე. სოციალ-დემოკრატებს კი ყველა პრობლემის მოგვარების გარანტად საკუთარი იდეოლოგია მიაჩნდათ. ამიტომ დამფუძნებელი კრების შექმნის დღიდან, მათ აქტიური საკანონმდებლო საქმიანობა დაიწყეს, რათა ქვეყანა სწრაფად გამოეყვანათ არნახული ეკონომიკური სტაგნაციიდან.

დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველი ეკონომიკური შინაარსის კანონ-პროექტი, რომელიც ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მიიღო, იყო ,,დამფუძნებელი კრების ხარჯთაღრიცხვა“. სამართლებრივი აქტი პლენარულ სხდომაზე გავიდა 1919 წლის 29 მარტს და განსაზღვრა კრების საშტატო ნუსხა და სახელფასო პოლიტიკა. განხილული და შესწორებული სახით იგი, 1919 წლის 8 აპრილს გადაეცა სარედაქციო კომისიას გამოსაქვეყნებლად.[57]

სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლებისათვის აგრარული რეფორმის ეფექტურად განხორციელება იყო ერთ-ერთი მთავარი ამოცანა. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის რომ მიწის გადანაწილება ყოფილიყო სამართლიანი. ამიტომ დამფუძნებელი კრების მეცხრე სხდომაზე განიხილეს „პროექტი დეკრეტისა ქალაქებში დაუსახლებელ მიწებზე აკრძალვის დადების შესახებ“. მომხსენებელმა კირილე ნინიძემ ახსნა, რომ აღნიშნული დეკრეტი იყო სოფლებში დაწყებული რეფორმის გაგრძელება და მისი მიზანი იყო მიწების გასხვისებით ან დაგირავებით გამოწვეული სპეკულაციების თავიდან აცილება, სანამ მთავრობა მემამულეებს მიწებს ჩამოართმევდა და მათ დაბლ სოციალურ ფენებს გადაუნაწილებდა.[58]

დეკრეტის პროექტი გააკრიტიკეს როგორც მემარცხენე, ასევე მემარჯვენე ოპოზიციის წარმომადგენლებმა. სოციალისტებმა მთავრობას არაეფექტურობა და დროის გაჭიანურება დააბრალეს, ეროვნულ-დემოკრატებმა სამართლებრივი აქტი განიხილეს, როგორც საკუთრების უფლებაზე თავდასხმა. ამ უკანასკნელთა წინააღმდეგობის მიუხედავად, კრებამ 1919 წლის 15 აპრილის რიგით მეათე სხდომაზე ხსენებული დეკრეტის საბოლოო ტექსტი უმრავლესობით მიიღო.

რეგიონში არსებულმა არასტაბილურმა სიტუაციამ წაახალისა ჩვენი ქვეყნის მთლიანობის წინააღმდეგ მებრძოლი ძალები, აფხაზეთისა და შიდა ქართლის ოსებით

---

[57] საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. I, გვ. 145; 188.
[58] საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. I, გვ. 205.

დასახლებული რეგიონის შემდეგ სეპარატიზმმა იფეთქა ახალქალაქსა და ახალციხეში. მუსლიმ მოსახლეობაზე დიდ ზემოქმედებას ახდენდა ოსმალეთის იმპერიის აგენტურა. სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ საჭირო გახდა სამხრეთ საქართველოში საჯარისო შენაერთების შეყვანა და მშვიდობის საომარი შეტაკებებით დამყარება. კონფლიქტმა, რა თქმა უნდა, მშვიდობიანი მოსახლეობაც დააზიანა. დამფუძნებელმა კრებამ გამოიკვლია საკითხი და თავის თავზე აიღო სოციალური პასუხისმგებლობა სამცხე ჯავახეთის დასახმარებლად. 1919 წლის 15 აპრილის სხდომაზე გავიდა კანონ- პროექტი ახალციხის-ახალქალაქის ლტოლვილთათვის 2 მილიონი მანეთის გადადების შესახებ.[59] კანონის მიზანი სამხედრო მოქმედებებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება იყო. ზემოხსენებული აქტი ცალსახად სოციალური ფონის გასაუმჯობესებლად იყო მიმართული.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მხოლოდ დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის არ უწევდა ბრძოლა. ომმა და გაჭირვებამ ქვეყანაში გაართულა ეპიდემიოლოგიური სიტუციაც. ქოლერას და ტიფს დაემატა ესპანური გრიპიც. როგორც ყოველთვის, მაშინაც პანდემიის დამარცხების ერთ-ერთი გზა სამედიცინო პერსონალის თავდაუზოგავ შრომაზე გადიოდა. რა თქმა უნდა, ექიმები არ იყვნენ დაცულნი დაავადებით დასნეულებისგან და ხშირად ისინი მოვალეობის შესრულების დროს იღუპებოდნენ. სწორედ მათზე იყო გათვლილი დამფუძნებელი კრების მორიგი სოციალური შინაარსის კანონი.

1919 წლის 20 მაისს პირველ მოსმენაზე გავიდა კანონ-პროექტი ეპიდემიასთან ბრძოლაში დაღუპულ და უნარდაკარგულ მოსამსახურეთა ოჯახების დახმარების შესახებ. პროექტის მიხედვით, სამედიცინო პერსონალი დაიყო სამ ნაწილად. პირველ კატეგორიას წარმოადგენდნენ ექიმები, მეორე კატეგორიაში შევიდნენ ფერშლები, სათნოების დები და დეზინფექტორები, მესამე კატეგორიას ეკუთვნოდნენ სანიტრები. მთავრობის გადაწყვეტილებით, პანდემიასთან ბრძოლის დროს დაღუპვისა და სამუშაო უნარის დაკარგვის შემთხვევაში, ექიმების ოჯახებს მიეცემოდათ 30000 მანეთი, მეორე კატეგორიაში შემავალთა ოჯახებს - 20000 მანეთი, ხოლო სანიტრებისას - 15000.[60]

მეორე მოსმენის დროს კანონ-პროექტში ცვლილება შეიტანა საკანონმდებლო ორგანოს მმართველმა ძალამ. ოპოზიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის პარმენ ჭიჭინაძის წინააღმდეგობის მიუხედავად, შემცირდა როგორც კატეგორიები, ასევე გადასაცემი თანხების ოდენობა. სამის მაგივრად სოციალ-დემოკრატებმა მედიკოსები დაყვეს ორ ჯგუფად და დახმარებებიც პირველი ჯგუფის ოჯახის წევრებისთვის განისაზღვრა 15000 მანეთით, ხოლო მეორე ჯგუფის ოჯახის

[59] იქვე, გვ. 246.
[60] საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. I, გვ. 525.

წევრებისთვის - 10000 მანეთით. აღნიშნული შესწორებებით კანონპროექტი მიღებული იქნა პლენარულ სხდომაზე და გადაეცა სარედაქციო კომისიას გამოსაქვეყნებლად.[61]

ხელისუფლებას არც ხილულ მტერთან მებრძოლები დავიწყებია. დამოუკიდებლობის შენარჩუნება არ იყო მარტივი, მითუმეტეს როცა მეზობელი ქვეყნები არ იყვნენ კეთილგანწყობილნი ჩვენს მიმართ. ამიტომ მსხვერპლიც დიდი იყო. საკანონმდებლო ორგანომ დაუფასა ქვეყნის მთლიანობისთვის მეომარ ადამიანებს ეს ღვაწლი და დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა კანონი ომში დაზარალებულთა დახმარების შესახებ[62] და სათანადო ხარჯიც გაიღო.

1919 წლის 20 ივნისს დამფუძნებელ კრებაში განიხილეს კანონ-პროექტი, რომელიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური პლატფორმის პრაქტიკაში განხორციელებას უსვამდა ხაზს. მთავრობამ სასურსათო დეფიციტის მოგვარების მიზნით, გადაწყვიტა თავად ჩართულიყო სავაჭრო საქმიანობაში. დეკრეტი ,,მთავრობის განკარგულებაში 20 მილიონ მანეთის გადადებისა უცხოეთში გასატან საქონლის დასამზადებლად და უცხოეთიდან საქონლის შემოსატანად“ მიზნად ისახავდა უარყოფითი სავაჭრო ბალანსის გამოსწორებასა და ვალუტის გამყარებას. საკითხის განხილვისას სოციალ-დემოკრატმა ნიკოლოზ ელიავამ აღნიშნა, რომ ეს იყო პირველი მცდელობა ხელისუფლების მხრიდან სავაჭრო საქმიანობაში ჩარევის და ამის შედეგად გამოჩნდებოდა თუ რამდენად ეფექტური იქნებოდა მსგავსი ეკონომიკური პოლიტიკა.[63]

რა თქმა უნდა, თანამედროვე გადმოსახედიდან მსგავსი ქმედება სახელმწიფოს მიერ კერძო სექტორის საქმიანობაში ჩარევის უხეში შემთხვევაა. მეოცე საუკუნის 20-იანი წლების ევროპაშიც ვაჭრობით ძირითადად ე.წ. ბურჟუაზია იყო დაკავებული და ისინი სახელმწიფოს დახმარებას სავსებით არ საჭიროებდნენ აღებ-მიცემობის საქმეში, მაგრამ სიტუაცია ჩვენთან რადიკალურად განსხვავებული იყო. გარდა იმისა, რომ საქართველოს მთავრობაში სოციალისტები იყვნენ და მათთვის ხელისუფლების ეკონომიკურ საქმიანობაში ჩარევა სულაც არ იყო პრობლემა, ამავდროულად, ჩვენს ქვეყანაში თითქმის არ მოიძებნებოდნენ კერძო პირები, ვინც თავისი შესაძლებლობებით მოაგვარებდნენ სასურსათო დეფიციტის პრობლემას. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი წერს: ,,ქართველი ბურჟუაზია სუსტი იყო და მოუწყობელი. ძალიან მცირე გამონაკლისის გარდა, იგი ისეთ უნარსა და ისეთ ენერგიას ვერ იჩენდა, რაც მისგან მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო და რისი პრეტენზიაც მათ იდეოლოგიურ წარმომადგენლებს ჰქონდათ“.[64]

---

[61] იქვე, გვ. 535.
[62] საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. II, გვ.86 .
[63] საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. II, გვ. 206 .
[64] *კ. კანდელაკი,* საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, პარიზი, 1960, გვ. 81.

საქართველოს მოქალაქეების ნაცვლად ექსპორტ-იმპორტით დაკავებულნი იყვნენ უცხოელები. მათი ჩვენ ქვეყანაში საქმიანობა ეკონომიკური სარგებლის მაგივრად, უფრო საზიანო იყო, რადგან ისინი ადგილობრივ გასატან საქონელს ყიდულობდნენ იაფად, ხოლო საზღვარგარეთიდან შემოტანილს ჩვენში ბევრად მაღალ გასაყიდ ფასს ადებდნენ. გარდა ამისა, ქვეყანაში ადგილი ჰქონდა უამრავ სპეკულაციას, რაც საზიანო იყო როგორც მომხმარებელთა ინტერესებისათვის, ასევე ადგილობრივი სოფლის მეურნეობაში ჩართული გლეხებისათვის.

ზუსტად ამ გარემოებამ განაპირობა ხელისუფლების მხრიდან სავაჭრო საქმიანობაში ჩარევა. ოპოზიციის წინააღმდეგობის მიუხედავად, დეკრეტის აუცილებლობა დაიცვეს მთავრობიდან კონსტანტინე კანდელაკმა და სოციალ-დემოკრატების ფრაქციიდან დიომიდე თოფურიძემ. კანონი საბოლოო სახით 1919 წლის 24 ივნისის სხდომაზე გავიდა და იგი უმრავლესობით მიიღო საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ. მთავრობას მიეცა 20 მილიონი მანეთი სავაჭრო ოპერაციების განსახორციელებლად.

1920 წლის 23 მარტს კრებამ სახელმწიფოს სავაჭრო პოტენციალის გაზრდის მიზნით, გამოსცა დეკრეტი ევროპაში კომერციულ სააგენტოს დაარსების და ეკონომიკურ მისიის გასაგზავნად 20 მილიონი მანეთის გადადების შესახებ. მისიას უნდა შეესწავლა ევროპული ბაზარი და ეცნობებინა ქვეყნისთვის თუ რა სახის პროდუქტზე იყო მოთხოვნა დასავლეთში. პირველ ეტაპზე კომერციული სახის სააგენტოები დაარსდებოდა საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისსა და სკანდინავიის ქვეყნებში.

საქართველოს უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია 1919 წლის 1 ივლისის სხდომაზე განხილულმა კანონ-პროექტმა უძრავი ქონების იძლებით ჩამორთმევის შესახებ. კანონი ცენტრალურ მთავრობასა და ადგილობრივ ერობებს აძლევდა უფლებას, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ჩამოერთვათ უძრავი ქონება კერძო პირებისთვის.

დამფუძნებელი კრების ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ კანონ-პროექტი მკაცრად გააკრიტიკა. დეპუტატმა გიორგი გვაზავამ კერძო საკუთრება მიიჩნია თავისუფლების საფუძვლად და ამით მის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. თავის მხრივ, სოციალისტური პარტიების წარმომადგენლებმა კერძო საკუთრება მონობასთან გააიგივეს და ის მიიჩნიეს სახელმწიფოებრივი განვითარებისთვის ერთ-ერთ ხელშემშლელ ფაქტორად.[65]

კანონის აუცილებლობა მომხსენებელმა სერგეი ჯაფარიძემ ასე ახსნა: ,,ჩვენ ვიცით, რომ ეკონომიკურ აღორძინებისთვის და უბრალო მიმოსვლის საუკეთესო

[65] საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. II, გვ.292 .

მოწყობისთვის საჭიროა და სასურველი, რომ ჩვენი ტერიტორია მომავალში მოფენილი იქნეს რკინის გზების ქსელით და შარა-გზებით. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ უკვე შემოვიღეთ სავალდებულო სწავლა-განათლება პირველ-დაწყებითი, ამისათვის საჭირო იქნება, რასაკვირველია, სათანადო შენობები, ბინების მოპოვება და შეძენა, აგრეთვე საავადმყოფოები და ბევრი რამ, რასაც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ასეთი საქმეების მოწყობა შეუძლებელია, თუ ჩვენ არ მივიღეთ წესი იძულებითი ჩამორთმევისა უძრავ ქონებისა, იმიტომ, რომ, როდესაც, მაგალითად გზა გაგყავთ და როდესაც ამ გზამ უნდა გაიაროს მთელი რიგი სხვა და სხვა ადგილებისა, ყველასთან შეთანხმება არამც თუ ძნელია, ხშირად შეუძლებელიც არის."[66]

კანონი საბოლოოდ მიღებული იქნა 11 ივლისს მუხლობრივად განხილვის შემდეგ. კანონმა განსაზღვრა როგორც უძრავი ქონების დათმობის, ასევე საკომპენსაციო თანხის გადახდისა და გასაჩივრების წესები.

სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ერთ-ერთი ატრიბუტი საკუთარი ვალუტაა. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას 1919 წლის 11 ივლისამდე არ გააჩნდა საკუთარი ფულადი ერთეული. მანამდე ქართულ სახელმწიფოში მიმოქცევაში იყო რუსული მანეთი და ამიერკავკასიის ბონი, რომელიც ქვეყნის ფინანსურ სუვერენიტეტს ზღუდავდა. ქართული ბონი არ იყო ფული, იგი წარმოადგენდა ფულის სუროგატს. კონსტანტინე კანდელაკმა ბონი შემდეგნაირად განმარტა: ,,ბონა არ გახლავთ ფული, ეს არის ვალდებულება, ეს არის ერთნაირი თამასუქი, რომლის დახურდავება შეიძლება ოქროზედ, შეიძლება საკრედიტო ბილეთზედ, შეიძლება ფულზედ, შეიძლება ბანკნოტზედაც, მაგრამ ყოველ შემთხვევაში იგი უნდა გულისხმობდეს, რომელიმე ფულის ერთეულს".[67]

დამფუძნებელ კრების პლენარულ სხდომაზე გატანილ დეკრეტს საქართველოს რესპუბლიკის ბონების გამოცემის შესახებ ნეგატიურად შეხვდნენ სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალისტ-ფედერალისტები. ლეო შენგელაიამ ბონის გამოცემა მიიჩნია კურსის უფრო დაცემის წინაპირობად და გამოსავლად შეძლებული ფენის საგადასახადო პროცენტის კიდევ უფრო მაღლა აწევა დაასახელა. თედო ღლონტმა კი პირველ რიგში ყურადღება გაამახვილა ბონზე გაკეთებულ წარწერაზე. სადაც ეწერა ,,საქართველოს რესპუბლიკის ბონები უზრუნველყოფილია საქართველოს რესპუბლიკის მთელი ქონებით." კრების სოციალისტ-ფედერალისტმა წევრმა აღნიშნა, რომ ბონს ამხელა პასუხისმგებლობა არ უნდა ჰქონოდა. მისივე აზრით, უმჯობესი იქნებოდა თუ ქვეყანა ბონის მაგივრად ფულად ერთეულს შემოიღებდა.

ორივე ოპონენტის მოსაზრება გაანეიტრალა საკუთარ სიტყვაში ფინანსთა მინისტრმა კონსტანტინე კანდელაკმა. მთავრობის წევრმა ვაჭრობა-მრეწველობის

[66] საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. II, გვ.289.
[67]იქვე, გვ. 335.

სფეროში მოღვაწე მეწარმეების დაბეგვრის სტატისტიკა წარმოადგინა, სადაც ნათლად გამოჩნდა კოლოსალურად მაღალი საგადასახდო ტვირთი ბიზნესის სექტორზე.[68] თედო ღლონტს კი განემარტა, რომ ბონს პასუხისმგებლობის გარეშე არც ღირებულება და არც ნდობა არ ექნება, ხოლო ეროვნული ვალუტის შემოღებას კი სჭირდება ძლიერი ეკონომიკური მდგომარეობა და ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარება საერთაშორისო დონეზე.

საკანონმდებლო ორგანომ დეკრეტი შემდეგი სახით მიიღო:

1. ნება მიეცეს საქართველოს მთავრობას გამოსცეს საქართველოს რესპუბლიკის ბონი 300 მილიონი მანეთის;
2. საქართველოს რესპუბლიკის ბონი გამოიცეს დროებით, ვიდრე შემოღებული იქნებოდეს საქართველოს რესპუბლიკის საკუთარი ფული, რომლის საშუალებით ბონი გამოყიდული იქნება.
3. საქართველოს რესპუბლიკის ბონი უზრუნველყოფილია საქართველოს რესპუბლიკის მთელი ქონებით;
4. რესპუბლიკის საზღვრებში საქართველოს რესპუბლიკის ბონის მიღება სავალდებულოა რუსეთის ფულის ნიშნებისა და ამიერ-კავკასიის კომისარიატის ბონის თანაბრად.[69]

ქართული ბონების ემისია დამოუკიდებელ საქართველოში 5-ჯერ განხორციელდა, რამაც მნიშვნელოვნად გააუფასურა მისი კურსი. ხელისუფლებას სჭირდებოდა რაიმე სახის ღონისძიება, რაც უცხოური ვალუტის შეძენას შეუწყობდა ხელს და ბონს გაამყარებდა. ასეთ საშუალებას სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ და დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 2 აგვისტოს რიგით 45-ე სხდომაზე მიაგნო. დიომიდე თოფურიამ კრებას წარუდგინა დეკრეტი შავი ქვის გაზიდვის მონოპოლიისა.[70]

დეკრეტს ჰქონდა ორნაირი დანიშნულება. ერთი უშუალოდ ფისკალური, - შავი ქვიდან სახელმწიფოს შემოსავალი გაიზრდებოდა, ხოლო მეორე იყო პრაქტიკული მიზეზებით განპირობებული. საქართველოდან მარგანეცი გაჰქონდა რამდენიმე მწარმოებელს, ისინი არც ხარისხზე ფიქრობდნენ და ერთმანეთის კონკურენციით ქართული მარგანეცის ფასსაც საგრძნობლად წევდნენ საერთაშორისო ბაზარზე. მონოპოლია დაარეგულირებდა ამ ყველაფერს. ერთი ექსპორტიორი ნიშნავდა ერთ ფასს დ ამავდროულად სახელმწიფო გააკონტროლებდა ხარისხს.[71]

---

[68] იქვე, გვ.331.
[69] *კ. კანდელაკი,* საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, პარიზი, 1960, გვ. 69.
[70] საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. III, გვ.130.
[71] *კ. კანდელაკი,* საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, გვ. 90.

უნდა აღინიშნოს რომ სახელმწიფოს თავად არ დაუწყია მარგანეცის უცხოეთში ექსპორტი. ეს საქმე მთავრობამ გადააბარა სპეციალურად შექმნილ ,,ჭიათურის მარგანეცის საექსპორტო საზოგადოებას“ („ჩემო“), რომელშიც გამოცდილი მრეწველები შედიოდნენ.[72]

სახელმწიფო მონოპოლიის საკითხი მხოლოდ მარგანეცით არ დასრულებულა. 1919 წლის 24 ოქტომბერს დამფუძნებელი კრების სხდომაზე გავიდა დეკრეტი ფოთლის თამბაქოზე მონოპოლიის გამოცხადების შესახებ. რაჟდენ არსენიძის შესწორების შემდეგ, მას ეწოდა დეკრეტი ფოთოლ თამბაქოზე მონოპოლიის გამოცხადების შესახებ და მიიღო შემდეგი სახე:

„1. ყიდვა-გაყიდვა, საზღვარგარეთ გატანა და განაღდება ფოთოლი თამბაქოსი შეადგენს სახელმწიფო მონოპოლიას.

2. მთავრობას უფლება აქვს, დააწესოს მტკიცე ფასი ფოთოლი თამბაქოსი და ამ ფასით ჩამოერთვას იგი მქონებელს.

შენიშვნა. მტკიცე ფასების შესამუშავებლად არსებობს ორგანო, სადაც შედიან მთავრობის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების სავაჭრო პალატის წარმომადგენლები.

3. პირველ მუხლში აღნიშნული დადგენილების განსახორციელებლად მთავრობას ნება აქვს გადასცეს საზოგადოებრივ და ანგარიშვალდებულ კერძო დაწესებულებათა და თამბაქოს ფაბრიკებს თავისი უფლება სრულად, ან ნაწილობრივ“.[73]

მოგვიანებით საქართველოს მთავრობამ და დამფუძნებელმა კრებამ სახელმწიფო მონოპოლიები გამოაცხადეს მატყლზე და აბრეშუმის პარკზე. ამავდროულად, ხელისუფლება არ იშურებდა ძალისხმევას, რომ ხელი შეეწყო სავალუტო საქონლის წარმოების განვითარებისთვის. 1920 წლის 18 მაისს სხდომაზე გატანილი იქნა დეკრეტი აბრეშუმის პარკის, თამბაქოსი და მატყლის მწარმოებელთათვის სესხის მისაცემად 75 000 000 მანეთის გადადების შესახებ. მომხსენებლის დავით ონიაშვილის განცხადებით, აღნიშნული კანონ-პროექტი იყო ერთგვარი სუბსიდირება მეწარმეთა დასახმარებლად.[74]

მსგავსი წარმოების განვითარებაზე ორიენტირებული კანონი მიიღო დამფუძნებელმა კრებამ 1920 წლის 22 ივლისს. დეკრეტი სამონოპოლიო საქონლის მწარმოებელთათვის ასი მილიონი მანეთის სესხის მიცემის შესახებ ოპოზიციის ცხარე

---

[72] *თ. ათანელიშვილი,* სადისერტაციო ნაშრომი ,,ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ), უნივერსალი, თბ., 2006, გვ. 34.
[73] იქვე, გვ. 38.
[74] საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. VI, გვ . 345.

კრიტიკის შემდეგ იქნა გადაცემული სარედაქციო კომისიისთვის. სოციალისტ-რევოლუციონერმა ივანე ლორთქიფანიძემ და ეროვნულ-დემოკრატმა ალექსანდრე ასათიანმა ნეგატიურად შეაფასეს სახელმწიფო მონოპოლიის როლი ქვეყნის ეკონომიკაში. მათი აზრით, სახელმწიფო არაეფექტურად მოქმედებდა აღნიშნულ საქმეში.[75]

თუ როგორი განსხვავებული ეკონომიკური ხედვა ჰქონდათ ამ სამი პარტიის წარმომადგენლებს, ნათლად ჩანს, 1920 წლის 17 თებერვლის სხდომიდან, რომელიც ტყიბულის მაღაროების სააქციო საზოგადოება ,,ნახშირას" ქონების გამოყიდვისა და ტყიბულის მაღაროების ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ დეკრეტის განხილვასა და მიღებას მიეძღვნა. სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიზანი იყო კერძო მესაკუთრისგან 12 მილიონი მანეთის სანაცვლოდ გამოესყიდა საწარმო და ამრიგად მოეხდინა მისი ნაციონალიზაცია. სოციალისტ-რევოლუციონერი ილია ნუცუბიძე კატეგორიული წინააღმდეგი იყო ფულის გადახდის და მოითხოვდა პირდაპირი წესით ქონების კონფისკაციას. ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გვაზავა კი ამ საკითხს განიხილავდა როგორც ძარცვას.[76]

მმართველმა პარტიამ მადნეულთან მიმართებაში პოზიცია შეიცვალა და 9 მარტს პლენარულ სხდომაზე გავიდა კანონ-პროექტი მადნეულის სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადების შესახებ. საკითხი 13 ივლისს იქნა მიღებული მეორე მოსმენით და ამრიგად სახელმწიფო მონოპოლიას დაემატა მადნეულის ნაციონალიზაციაც.

ქართული ბონის სიმყარეს და ძლიერ ეკონომიკას მხოლოდ სახელმწიფო მონოპოლიები ვერ უშველიდა. ფულად-საკრედიტო სისტემის განვითარება დიდ წილად დამოკიდებულია საბანკო სექტორზე. დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად, პოლიტიკურმა ელიტამ დაიწყო საუბარი სახელმწიფო ბანკის დაარსების თაობაზე, რომელსაც ემისიის უფლებაც ექნებოდა.

პირველად, დეკრეტმა სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ დამფუძნებელ კრებაზე გაიჟღერა 1919 წლის 30 სექტემბერს. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავჯდომარე დიომიდე თოფურიძემ კრებას გააცნო ის მთავარი პრინციპები, რასაც დაეყრდნობოდა ბანკი საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას. ,,ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი ტიპის ბანკი, რომ მთავრობას ექნეს იქ შესაფერი ადგილი, რომ არც სახელმწიფოს ინტერესი დაიჩაგროს და ბანკმაც მოიპოვოს ნდობა და ვაჭარ-მრეწველების ინტერესიც დაკმაყოფილებული იქნეს. აი ამ მოსაზრებით, მთავრობისა და კომისიის წინადადება ასეთია: ჩვენში უნდა დაარსდეს ბანკი, სადაც თანხა ეკუთვნის სახელმწიფოს, მაგრამ მართვა გამგეობა არ არის მთავრობის ხელში, რადგანაც როცა

[75] საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ.VII, გვ.70.
[76] საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ.V, გვ.227.

სახელმწიფო ბანკს განაგებს მთავრობა, იგი ვერ მოიპოვებს იმ ნდობას რომელიც საჭიროა ბანკისთვის. ამ მხრივ, რომ დაკმაყოფილებული იქნეს მოთხოვნილება ნდობისა, მინისტრთა საბჭომ და ჩვენმა კომისიამ მისაღებად დაინახეს, რომ მართვა გამგეობა და ზედამხედველობა ბანკისა, იქნას იმ პირთა ხელში, რომელთაც აირჩევს დამფუძნებელი კრება“,[77]- განაცხადა მომხსენებელმა.

დეკრეტზე სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ ბოლო მოსმენა გაიმართა 1919 წლის 31 დეკემბრის სხდომაზე. რადგან საკითხის გარშემო სადაო არაფერი იყო, საკითხი მუხლობრივი განხილვის შემდეგ მიღებული იქნა კანონიერ ძალაში ასეთი სახით:

1. დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული წესდების თანახმად დაარსებული იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბანკი.
2. გაღებული იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბანკის ძირითად თანხად წესდების მე-2 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ხაზინიდან ორმოცდაათი (50) მილიონი მანეთი.
3. არსებული კანონმდებლობის ყოველი ის მუხლი, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფო ბანკის წესდებას, გაუქმებული იქნეს ბანკის მოქმედების დაწყების დღიდან.
4. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.[78]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო საბაჟოების სატარიფო პოლიტიკას კარგად იყენებდა ქვეყნის ინტერესების შესაბამისად. თავდაპირველად 1920 წლის 20 თებერვალს დამფუძნებელი კრებამ მიიღო უცხოეთიდან შემოტანილ საქონელზე საბაჟო ტარიფის შეცვლის დეკრეტი. ახალმა კანონმა გადასახადისგან სრულიად გაანთავისუფლა სურსათი და პირველადი მოხმარების ნივთები, ხოლო სხვა სახის პროდუქციაზე და ფუფუნების საგნებზე ბაჟი გაიზარდა.

მაღალმა ინფლაციამ და საფინანსო სექტორში შექმნილმა რეალობამ დამფუძნებელ კრებას უბიძგა 1920 წლის 2 აპრილს პლენარულ სხდომაზე განეხილა და მიეღო დეკრეტი პროპორციონალურ სააქციზო გადასახადის დაწესების შესახებ. მისი მეშვეობით ფიქსირებული აქციზის გადასახადი შეიცვალა და გახდა ნივთის ფასის ზრდის პროპორციული.

---

[77] საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. III, გვ.199.

[78] *თ. ათანელიშვილი,* სადისერტაციო ნაშრომი ,,ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ), გვ.124 .

ფინანსური სპეკულაციების აღკვეთისა და საბიუჯეტო შემოსულობების გაზრდის მიზნით, 1920 წლის 8 ივნისს მიიღეს გასატან საქონელზე დროებით ბაჟის შემოღების დეკრეტი.

რა თქმა უნდა, უარყოფითი სავაჭრო სალდო ცუდად მოქმედებს სავალუტო კურსზე. მისი გამოსწორების მიზნით, 1920 წლის 16 ნოემბერს კრების სხდომაზე გატანილი იქნა „დეკრეტი საზღვარ-გარეთიდან ზოგიერთი საქონლის შემოტანის აკრძალვისა“. სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე კანონმა აკრძალა ფუფუნების საგნების შემოტანა.

პირველი რესპუბლიკის ერთ-ერთი მთავარ ხელწერად შეგვიძლია მივიჩნიოთ გასაჭირში მყოფი ჩვენი მოქალაქეებისა და დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლების მიმართ გაწეული დახმარებები. ამის დასტურია 1920 წლის 24 თებერვლის დეკრეტი საქართველოში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დახმარებისთვის 20 მილიონი მანეთის გადადებისა და სხვაგვარი შემწეობისა და 1920 წლის 13 ივლისის დეკრეტი ქალაქებისა და მაზრების დამშეულ მცხოვრებთა დასახმარებლად 55 000 000 მანეთის გადადების შესახებ. დამფუძნებელმა კრებამ 1920 წლის 21 მაისს ასევე მიიღო დეკრეტი სოციალურ დახმარებისა და მისი ორგანიზებისა. მომხსენებელმა ილია ფირცხალაიშვილმა განაცხადა, რომ კანონის მიხედვით, დახმარება მიეცემოდა სახელმწიფოს ყოფილ მოხელეებს, სამხედრო პირებსა და წარმოებაში მყოფ ყოფილ მუშებს, რომლებმაც დაკარგეს შრომის უნარი. ასევე ასეთი ადამიანების ქვრივებსა და ობლებს 17 წლამდე.[79]

საკანონმდებლო ორგანოს დღის წესრიგში მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა მუშათა და მოსამსახურეთა შრომითი უფლებების დაცვის საკითხიც. კრების წევრთა 95 % დაკომპლექტებული იყო მუშათა ინტერესების დამცველი პარტიების წარმომადგენლებისგან და შესაბამისად მათი სურვილი იყო პროლეტარიატის საჭიროებაზე მორგებული შრომის კანონმდებლობის რეგლამენტირება.

1920 წლის 20 ივლისს დამფუძნებელი კრების სხდომაზე გამოტანილი იქნა კანონ-პროექტი შრომის ხელშეკრულების შესახებ, რომელმაც მემარცხენე ოპოზიციის უკმაყოფილება გამოიწვია. მათ ხელისუფლების ზომიერი პოლიტიკა და შერეული ტიპის ეკონომიკა კაპიტალისტურ კლასთან დაზავებად წარმოაჩინეს.

1920 წლის 23 ივლისს მოეწყო შრომის ხელშეკრულების კანონის ზოგადი განხილვა. აქტუალური თემა იყო 8 საათიანი სამუშაო დღის საკითხი. ამჯერად მემარჯვენე ოპოზიციამ შეაფასა კანონი ნეგატიურად და ხელისუფლებას წარმოებაში ზედმეტად ჩარევა დააბრალა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრმა ალექსანდრე ასათიანმა აღნიშნა: ,,მწარმოებლები არსად არ არიან ვალდებულნი, რომ მუშები

[79] საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. VI, გვ.361.

უშუალოდ ბირჟიდან წაიყვანონ, ისინი სრულიად არ არიან მოკლებულნი უფლებას, თვითონვე მოკრიფონ მუშები, სადაც სურთ. ჩვენ კი ვქმნით ისეთ მდგომარეობას, როდესაც მწარმოებელი სრულიად დამოკიდებული ხდება შრომის ბირჟაზე. ეს კი მთლად ახალი საქმეა და მე ვფიქრობ, ამას შეუძლია მხოლოდ ზიანი მოუტანოს ისედაც სუსტ წარმოებას".[80]

კანონ-პროექტის განხილვა ხანგრძლივი გამოდგა, საბოლოოდ იგი დამფუძნებელმა კრებამ 14 აგვისტოს დაამტკიცა. ტექსტი საკმაოდ პროგრესული იყო, განსაზღვრავდა შრომითი ხელშეკრულების ძირითად პრინციპებსა და არეგულირებდა შრომის კოდექსის მოქმედების სფეროს. კანონს ექვემდებარებოდა შრომის ყველა ხელშეკრულება, გარდა სახელმწიფოსა და ადგილობრივ თვითმმართველობის თანამდებობის პირებისა და ადმინისტრაციაში დასაქმებულებისა. კანონი აღიარებდა სუსტი მხარის დაცვის პრინციპს. ხელშეკრულება ფორმდებოდა, როგორც წერილობით, ასევე სიტყვიერად, მთავარია არ დარღვეულიყო ზნეობრივი ნორმები და სასამართლოში გასაჩივრების წესი. კანონით აკრძალული იყო დამსაქმებლის მიერ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა კანონიერი საფუძვლის გარეშე. [81]

მშრომელთა სოციალურ მდგომარეობას გარდა შრომის კოდექსისა, აუმჯობესებდა დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული დეკრეტი მუშა-მოსამსახურეთათვის პირველ მოთხოვნილების საქონლის მისაწოდებლად მთავრობის განკარგულებაში 50 მილიონი მანეთის გადადების შესახებ. დეკრეტით მთავრობას უფლება ეძლეოდა, პირველადი საჭიროების საქონელი ნასყიდობაზე დაბალ ფასად მიეცა მუშებისა და სახელმწიფო დაწესებულებაში დასაქმებულთათვის. ზარალი დაიფარებოდა აღნიშნული 50 მილიონიდან.

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკა არსებითად სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებულ სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებდა. იგი იყო ერთგვარი ექსპერიმენტი და მას მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნებოდა. დღევანდელი გადმოსახედიდან ეს პოლიტიკა შეძლება დავახასიათოთ, როგორც საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო შერეული ტიპის ეკონომიკური სისტემით, თუმცა კანონმდებლობაში ადვილი შესამჩნევია მუშებისთვის გარკვეული პრივილეგიის მინიჭება.

[80]საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. VII, გვ.121.

[81] *ქ. ბოდონე,* საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორის შრომის სტანდარტები, თბ. 2017. გვ.20.

IV თავი. დებატები ბიუჯეტის ირგვლივ საქართველოს დამფუძნებელ კრებაში.

ა) 1919-1920 წლის ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება.

სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფინანსურ დოკუმენტს. მისი არ არსებობის შემთხვევაში რთულია ქვეყნის ეფექტური ფუნქციონირება, რის გამოც დამფუძნებელი კრების არჩევასთან ერთად, დღის წესრიგში დადგა ბიუჯეტის პროექტის განხილვისა და დამტკიცების საკითხი. თუმცა რთული ეკონომიკური სიტუაცია, მზარდი ინფლაცია და არასტაბილური გარემო აფერხებდა ზუსტ პროგნოზირებას ფინანსური დაგეგმარებისას, ამიტომ პროექტის მომზადება და მისი საკანონმდებლო ორგანოში დასამტკიცებლად გატანა დროში საკმაოდ გაიწელა. მთავრობის მიერ 1919 წლის 5 ივნისს დამფუძნებელი კრებისთვის გადაცემული ბიუჯეტის პროექტს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია 1920 წლის 31 მაისამდე ამუშავებდა და მხოლოდ ამის შემდეგ გააცნო იგი საკანონმდებლო ორგანოს პრეზიდიუმს.[82]

ამ დროის განმავლობაში აღმასრულებელი შტოს მიერ შემუშავებული პროექტი სახეშეცვლილი წარსდგა 1920 წლის 16 ივლისს დამფუძნებელი კრების წინაშე. მთავრობის მიერ შემუშავებული ბიუჯეტი იყო დაბალანსებული შემოსავლისა და ხარჯვის ნაწილში და იგი შეადგენდა 797 401 187 მანეთს. კრებაზე გატანილი პროექტი კი გაზრდილი იყო. საპროგნოზო შემოსავალი გადაკეთდა 1 163 564 185 მანეთად, ხოლო ხარჯები - 1 960 490 798 მანეთად. არსებული სხვაობა, რომელიც იყო 796 926 313 მანეთი, პროექტის მიხედვით, უნდა დაფარულიყო მთავრობის სამეურნეო ოპერაციებიდან.[83]

ასეთი ცვლილება გამოწვია იმან, რომ ბიუჯეტის განხილვას მთავრობაში და დამფუძნებელ კრებაში ნახევარ წელზე მეტი დასჭირდა და რეალურად 1919-1920 წლის ბიუჯეტი უკვე წინასწარი პროექტი კი არა, ნაწილობრივ უკვე გაწეული ხარჯებისა და მიღებული შემოსავლების ხარჯთ-აღრიცხვა იყო. ამასთან დაკავშირებით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი ალექსანდრე ასათიანი ბიუჯეტის განხილვისას სამართლიანად აღნიშნავდა: ,,ეს ანგარიში იწოდება სახელმწიფო ბიუჯეტად და ჩვენც

---

[82] *ათანელიშვილი თ.* სადისერტაციო ნაშრომი ,,ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ), უნივერსალი, თბ., 2006, გვ. 20.

[83] *კანდელაკი კ.* საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, პარიზი, 1960, გვ. 173.

შევუდექით მის განხილვას, როგორც ასეთის. მაგრამ მისი განხილვა გვარწმუნებს, რომ ეს არ არის ბიუჯეტი, არამედ წარსულ წელს გაწეული ხარჯების ანგარიშები. ამისდა მიხედვით ჩვენი განხილვა არ შეიძლება იყოს ისეთი, როგოც საზოგადოდ მიღებულია ბიუჯეტის განხილვის დროს. ჩვენ არ შეგვიძლია ვუარყოთ ესა თუ ის ხარჯები, ვინაიდან ის უკვე გაწეულია ფაქტიურად და ფორმალურად მას გამართლება აქვს. თქვენ მოგეხსენებათ, რომ წარმოდგენილ ანგარიშებში აღნიშნული ყველა ხარჯები ცალ-ცალკე მიღებული აქვს ჩვენს კრებას სხვა და სხვა დროს."[84]

1919-1920 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბიუჯეტს დამფუძნებელ კრებაზე წარდგენისას შემდეგი სახე ჰქონდა:[85]

შემოსავალი		
1	პირდაპირი გადასახადი	108,929,700
2	არაპირდაპირი გადასახადი	170,801,000
3	ბაჟები	40,518,500
4	მთავრობის რეგალიები	43,856,700
5	სახაზინო ქონება და თანხები	747,369,760
6	სახელმწიფო ხაზინის ანაზღაურებული ხარჯები	1,115,116
7	სხვადასხვაგვარი შემოსავალი	3,473,709
8	საკრედიტო ოპერაციებისაგან	47,500,00
		1,163,564,185
9	მთავრობის სამეურნეო ოპერაციებისაგან	796,926,313
	სულ	**1,960,490,798**

გასავალი		
1	დამფუძნებელი კრება	10,495,515
2	მთავრობის საქმეთა მმართველობა	181,973,299.10
3	შინაგან-საქმეთა სამინისტრო	207,822,692.60
4	სახალხო განათლების სამინისტრო	137,456,956
5	სამხედრო სამინისტრო (რეგულ. ჯარი, სახალხო გვარდია)	538,791,632
6	გარეშე-საქმეთა სამინისტრო	21,264,296
7	იუსტიციის	55,092,753.98
8	ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო	293,404,042
9	მიწათმოქმედების სამინისტრო	83,646,396.92

[84] საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. VII, გვ.251.

[85] *ათანელიშვილი თ.* სადისერტაციო ნაშრომი ,,ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ), გვ. 22.

10	გზათა	417,280,812.80
11	შრომის	1,140,550
12	სახელმწიფო კონტროლის	9,121,851.60
	სულ	**1,960,490,798**

ფორმალურად ქცეულმა ბიუჯეტმა დამფუძნებელ კრებაში მაინც დიდი დაპირისპირება გამოიწვია. პარტიებმა ბიუჯეტის გარშემო კრიტიკა არ დაიშურეს და დებატები რამდენჯერმე ცხარე კამათშიც გადაიზარდა. სიტუაცია განსაკუთრებით დაიძაბა სოციალ-დემოკრატებსა და სოციალისტ-რევოლუციონერებს შორის.

მივყვეთ ყველაფერს ქრონოლოგიურად. 1920 წლის 16 ივლისს დამფუძნებელი კრების 33-ე სხდომაზე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავჯდომარემ გრიგოლ გიორგაძემ პირველი ოფიციალური განცხადება გააკეთა 1919-1920 წლის ბიუჯეტის შესახებ. მომხსენებელმა რამდენიმე გარემოება გამოკვეთა. პირველ რიგში გარე და შიდა ფაქტორების მოშველიებით ახსნა ბიუჯეტის დაგვიანების მიზეზი და თანხების ზრდა სახელმწიფო დაწესებულებების ხარჯების ზრდასთან დააკავშირა. შემდეგ გიორგაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნულ ბიუჯეტში არ არის ასახული მომარაგების სამინისტროს ხარჯები და პროცენტულად ჩაშალა ყველა სამინისტროს გასავალზე გამოყოფილი თანხები. ფინანსური დოკუმენტიდანაც კარგად ჩანს, რომ ყველაზე მეტი ფული მოხმარდა სამხედრო და გზათა სამინისტროებს.[86]

დებატები ბიუჯეტის გარშემო 22 ივლისს დაიწყო და სოციალ-დემოკრატებს პირველად სწორედ ესერმა ლეო შენგელაიამ შეუტია. დეპუტატმა თავისი გამოსვლა ცინიკურად დაიწყო და აღნიშნა, რომ სამ წლიანი მუშაობაც არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ მმართველ პარტიას ნორმალური ბიუჯეტი წარმოედგინა. შენგელაიამ დაიწყო შემოსავლებისა და ხარჯების კრიტიკა. პირველ რიგში აღნიშნა ეკლესიაზე გაწეული ხარჯი და სოციალ-დემოკრატებს მოსთხოვა საპატრიარქოსთან სრული გამიჯვნა. ასევე ყურადღება გაამახვილა მიწის გაყიდვით მიღებულ შემოსავალსა და არაპირდაპირ გადასახადზე. სოციალისტ-რევოლუციონერი დეპუტატის აზრით, ეს იყო გაჭირვებული მოსახლეობის კანონიერი ძარცვა. მომხსენებელს მხედველობიდან არ გამორჩენია სახელმწიფო დაწესებულებების გაზრდილი ხარჯები და ამის მიზეზად მოიყვანა რამდენიმე მაგალითი, რომლის მიხედვითაც, ზოგი სოციალ-დემოკრატი ხელფასს იღებდა როგორც დამფუძნებელ კრებაში, ასევე აფხაზეთის საბჭოს წევრობით და კიდევ მესამე დამატებითი სამსახურიდანაც.[87]

ლეო შენგელაიამ საკუთარი გამოსვლა 28 ივლისს გააგრძელა. მისი კრიტიკა გასცდა ბიუჯეტს და მოიცვა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ეკონომიკური კურსი. განსაკუთრებით მწვავე განცხადებები გააკეთა მიწათმოქმედების მინისტრის ნოე

[86] საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. VII, გვ. 26.
[87] იქვე, გვ. 100.

ხომერიკის მიმართ. საბოლოოდ ესერმა მენშევიკებს კაპიტალისტების სასარგებლოდ მუშაობა დასწამა და აღნიშნა, რომ მათ ბიუჯეტს მხარს არ დაუჭედა.[88]

28 ივლისის სხდომაზე ბიუჯეტის კრიტიკა განაგრძო მეორე მემარცხენე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელმა. თუ ლეო შენგელაიამ არაპირდაპირი გადასახადი მოიხსენია აუგად, სოციალისტ-ფედერალისტმა თევდორე ღლონტმა პირდაპირი გადასახადი მონათლა პარაზიტულად. მისი აზრით, ამ გადასახადით მთელი საგადასახადო ტვირთი მშრომელ ხალხს აწვებოდა. ღლონტმა ბიუჯეტში არსებული დეფიციტი ბურჟუაზიის სპეკულაციებს დაუკავშირა და ხაზი გაუსვა შრომის სამინისტროსთვის გამოყოფილი თანხის სიმცირეს. [89] დეპუტატმა გამოსავლად დაასახელა მრეწველობისა და ვაჭრობის სრულიად სახელმწიფოს ხელში გადასვლა.

1920 წლის 29 ივლისს ბიუჯეტის განხილვაში ჩაერთვნენ ეროვნულ-დემოკრატები. პირველი სიტყვით სპირიდონ კედია გამოვიდა. მომხსენებელმა რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება. პირველი იყო ბიუჯეტის დეფიციტი. დეპუტატმა გამოთქვა ვარაუდი, რომ 790 მილიონიანი დანაკლისი არ გამართლდებოდა და საბოლოოდ ბიუჯეტის შევსებას კიდევ უფრო მეტი თანხის დამატება დასჭირდებოდა. [90] კრიტიკა შეეხო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, რომელსაც მომხსენებელმა უსაყვედურა იმის გამო, რომ ბიუჯეტში არ იყო მომარაგების სამინისტროს არც ხარჯი და არც შემოსავალი. შემდეგ, როგორც მისი წინამორბედი ოპოზიციონერები, სპირიდონ კედიაც გადავიდა ზოგად კრიტიკაზე და ხელისუფლების უუნარობას მიაწერა საბიუჯეტო კრიზისი, ასევე მოუწოდა დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატ წევრებს, რომ არ დაეჭირათ მხარი აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის და მიეთითებინათ შეცდომებზე.

30 ივლისს დამფუძნებელ კრებაში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. სოციალისტ-რევოლუციონერმა ივანე ლორთქიფანიძე გასცდა ბიუჯეტს და გააკრიტიკა მთავრობა ყველა მიმართულებით. გამომსვლელმა ისაუბრა თიანეთში ბოროტმოქმედების თარეშსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს უუნარობაზე. გააკრიტიკა კონტროლიორის ქმედება. მიწათმოქმედების მინისტრის უწყება სახელმწიფო მეურნეობიდან ქონების განიავებაში დაადანაშაულა. ბოლოს ექს მინისტრმა ხომერიკი ნეპოტიზმში და კადრების პარტიული ნიშნით დანიშვნაში ამხილა.[91]

თავის მხრივ, ბრალდებაზე ბრალდებითვე უპასუხა ნოე ხომერიკმა სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიას და ისინი სისხლის სამართლის დანაშაულში ამხილა. ხომერიკმა მოიყვანა ფაქტი, რითაც დასტურდებოდა ივანე ლორთქიფანიძის

---

[88] იქვე, გვ. 172.
[89] იქვე, გვ. 179.
[90] საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. VII, გვ.201.
[91] იქვე, გვ. 233.

მიერ მინისტრის პორტფელის გამოყენება საკუთარი პარტიის ბიუჯეტის შესავსებად. ამ ყველაფერმა დარბაზში დიდი ხმაური გამოიწვია.

ბევრად უფრო საქმიანი და კონსტრუქციული იყო ეროვნულ-დემოკრატი ალექსანდრე ასათიანის გამოსვლა. მემარჯვენე ოპოზიციონერმა გამოთქვა ეჭვი, რომ ბიუჯეტის ორი მთავარი შემოსავალი - სახაზინო ქონება და თანხები და მთავრობის სამეურნეო ოპერაციიდან მიღებული შემოსულობები გარკვეულ კითხვებს ბადებს და შესაძლოა მაგ ოდენობით არც შემოვიდეს.[92] ,,სახაზონო ქონების და თანხების შესახებ თქვენ აქ მოისმინეთ უწყების წარმომადგენლის აზრი. ჩამორთმეულ ბინების ლიკვიდაციის მოხდენის შემდეგ ნავარაუდევია შემოსავალი, რომელიც 250 მილიონს უდრის. ეს შემოსავალი ეხლა ბევრისთვის არის საეჭვოდ მიჩნეული. მე კი პირადად არ მაქვს იმედი, რომ ამ თანხის ნახევარი შემოვა ჩვენს ხაზინაში მახლობელ დროში. თუმცა, თუ ჩვენ ფულის კურსის დაცემა ასე გაგვიგრძელდა, მაშინ რასაკვირველია, შესაძლოა რამდენიმე ხნის შემდეგ მეტიც შემოვიდეს," - განაცხადა ასათიანმა. სიტყვით გამომსვლელმა ეკონომიკაზეც ისაუბრა. გულისტკივილი გამოთქვა მაღალ ინფლაციაზე და მის მოგვარებად კერძო ინიციატივების წახალისება მიიჩნია.

1920 წლის 7 აგვისტოს სოციალ-დემოკრატების ინტერესები დაიცვა დავით ონიაშვილმა. მან პარალელები გაავლო იმ პერიოდის ევროპულ სახელმწიფოებთან და აღნიშნა, რომ საბიუჯეტო დეფიციტი საქართველოზე ბევრად განვითარებულ ქვეყნებშიც შეინიშნება. ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტი კი მომხსენებელმა არაორდინალურ ხარჯებს მიაწერა და ერთ-ერთი მიზეზად სახელმწიფოს მუდმივი ბრძოლა მოიყვანა დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად.

ერთ თვიანი დებატები 1919-1920 წლის ბიუჯეტის გარშემო საბოლოოდ 1920 წლის 16 აგვისტოს დასრულდა. დამფუძნებელმა კრებამ უმრავლესობით მიიღო საკითხი და დაამტკიცა ბიუჯეტი. სამწუხაროდ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლების შიშები გამართლდა და ბიუჯეტი, როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვის ნაწილშიც, ჩავარდა. ამასთან დაკავშირებით, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი წერს: ,,სინამდვილე ძალიან დასცილდა, როგორც მთავრობის, ისე დამფუძნებელ კრების საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ვარაუდსაც. თუ შემოსავალში იგი უახლოვდებოდა უფრო მთავრობის, ძირითად, პროექტში ნავარაუდევ თანხას (797,401,185 მან.) და 771,059,000 მანეთს წარმოადგენდა, ხარჯებმა ორივე პროექტში ნაჩვენებ თანხას გადააჭარბეს და ძირითად პროექტში ნაჩვენებ თანხის 408 პროცენტს (4-ჯერ მეტ) წარმოადგენდნენ: 3,252,813,000 მანეთს".[93]

ფინანსისტმა ბიუჯეტის ჩავარდნის მიზეზებიც ახსნა. სამეურნეო ოპერაციებიდან შემოსული თანხები არსად ასახულა და არცერთ ხარჯში არ გაქვითულა,

---

[92] იქვე. გვ. 252.

[93] *კანდელაკი კ.* საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, პარიზი, 1960, გვ. 174.

რადგან ალბათ ნაწილი მომარაგების სამინისტროს პროდუქტის შესაძენად ჰქონდა დაბანდებული, ხოლო მეორე ნაწილი სესხად გასცა სამონოპოლიო საქონლის დასამზადებლად. არ გამართლდა ვარაუდი მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ გადახდილი გადასახადის მხრივაც. 252 მილიონის ნაცვლად ხაზინაში 2,455,000 შემოვიდა. მცირე იყო სახაზინო ქონებისა და თანხებიდან მიღებული შემოსავალიც.[94]

თუმცა ბიუჯეტის შესრულება ოპტიმიზმის საშუალებასაც იძლეოდა, რადგან პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადი უფრო მეტი შემოვიდა, ვიდრე ეს ნავარაუდევი იყო. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, საზოგადოების ხელისუფლებისადმი მხარდაჭერაში და გადასახადის ამკრეფი აპარატის ეფექტურობის ამაღლებაში უნდა ვეძებოთ.

ცნობილი გერმანელი სოციალისტი და მეორე ინტერნაციონალის წევრი კარლ კაუცკი თავის წიგნში საქართველოზე საუბრისას, ეხება 1919-1920 წლის ბიუჯეტის ჩავარდნას და წერს: ,,1919-1920 წლების ბიუჯეტში, სახელმწიფოს შემოსავლები 749 მლნ მანეთს შეადგენდა, რომელთაგან 566 მლნ ანუ 75% სახელმწიფოს საკუთრებიდან მიღებულ შემოსავალს წარმოადგენდა. მაგრამ ომმა სახელმწიფო საწარმოები გაურკვეველ სიტუაციაში ჩააყენა და მათგან შემოსავალი შეამცირა“.[95] კაუცკი ასევე ამბობს, რომ წარმოუდგენლად დიდია საქართველოს მთავრობის ხარჯები, რადგან მისი სოციალისტური ბუნებიდან გამომდინარე, მის მიმართ განსაკუთრებული პრეტენზიები არსებობს. საზოგადოება მისგან ელოდება კაპიტალიზმის მიერ გაჩენილი სიღარიბის ერთბაშად დაძლევას. ეს კი შეუძლებელია და ქვეყანას კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში აყენებს.[96] მართლაც, ყოველ მცდელობას საზოგადოების გასაჭირში მყოფი ნაწილის დახმარებისა, მოსდევდა ვალუტის კიდევ უფრო გაუფასურება და ეს ყველაფერი ბიუჯეტსაც დიდ დარტყმას აყენებდა.

---

[94] იქვე, გვ. 174.

[95] *კაუცკი კ.* საქართველო გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი. თბ, 2018. გვ.100.

[96] იქვე, გვ.101.

ბ) 1920-1921 წლის ბიუჯეტის პროექტი

1919-1920 წლის ბიუჯეტის გვიან შედგენით გამოწვეულმა პრობლემებმა, დამფუძნებელი კრება აიძულა მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას გარკვეული ზომები მიეღო. კერძოდ, 1920 წლის აგვისტოში კრებამ შეიმუშავა ,,წლიური ხარჯთ-აღრიცხვის ფორმულა", რაც საფუძველი გახდა 1920-1921 წლის ბიუჯეტის შემუშავებისა. ფორმულაში ეწერა:

„ა) დაცულ იქნას სწორწონილობა სახელმწიფოს შემოსავლებსა და გასავალს შორის;

ბ) ადგილობრივ თვითმართველობათ სესხი მხოლო წარმოებისათვის ეძლეოდეს და ისიც მაშინ, როცა განზრახული დარგი წარმოებისა წინასწარ არის შესაწავლილი და შეფასებული რესპუბლიკის ეკონომიკურ მდგომარეობასთან და ტეხნიკის განვითარებასთან;

გ) დაჩქარებით წარმოდგენილ იქნას კანონ-პროექტი ადგილობრივ თვითმართველობათა საბიუჯეტო უფლებისა და სანამ ეს კანონი მიღებული არ არის, გაეწიოს ადგილობრივ თვითმართველობათ ხაზინიდან დახმარება მართველობის აპარატის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად".[97]

ფორმულის შექმნამ დააჩქარა საბიუჯეტო დოკუმენტის მომზადების პროცესი და 1920 წლის დეკემბერში ფინანსთა სამინისტრომ საკანონმდებლო ორგანოს განსახილველად წარუდგინა მიმდინარე და მომდევნო წლის ბიუჯეტის კანონ-პროექტი.[98]

შემოსავალი		
1	პირდაპირი გადასახადი	200,811,000
2	არაპირდაპირი გადასახადი	1,459,120,000
3	ბაჟი	94,079,700
4	მთავრობის რეგალიები	42,192,000
5	სახაზინო ქონება და თანხები	4,054,330,300
6	დაბრუნება სესხისა, ვალისა, სხვა ხარჯისა	2,686,945.700
7	სხვადასხვა შემთხვევითი შემოსავალი	14,938,000
	სულ	**8,552,414,700**

[97] http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/

[98] *კანდელაკი კ.* საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, პარიზი, 1960, გვ. 177.

	გასავალი	
1	დამფუძნებელი კრება	27,577,100
2	მთავრობის საქმეთა მმართველობა	6,575,400
3	შინაგან საქმეთა სამინისტრო	596,280,800
4	სახალხო განათლების სამინისტრო	450,007.000
5	სამხედრო სამინისტრო	1,443,680,400
6	სახალხო გვარდია	419,089,000
7	გარეშე საქმეთა სამინისტრო	44,738,300
8	იუსტიციის სამინისტრო	284,348,300
9	ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო	441,597,400
10	მიწათ-მოქმედების სამინისტრო	368,624,000
11	გზათა სამინისტრო	1,843,923,500
12	შრომის სამინისტრო	32,413,400
13	სახელმწიფო კონტროლი	14,392,600
		5,973,247,100
14	მომარაგების სამინისტრო	2,579,167,6
	სულ	**8,552,414,700**

1920-1921 წლის ბიუჯეტის პროექტი კოლოსალურად აღემატებოდა წინა წლის ფინანსურ დოკუმენტს, რაც თავისთავად ქვეყანაში არსებულ ძლიერ ინფლაციაზე მეტყველებდა. თვალშისაცემად მაღალი იყო ისევ გზებისა და სამხედრო სამინისტროზე გამოყოფილი ასიგნებების ოდენობა. გაზრდილი იყო მხარჯავი დაწესებულებების რაოდენობაც.

ახალ პროექტში გათვალისწინებული იყო ოპოზიციის შენიშვნა და უკვე ასახული იყო მომარაგების სამინისტროს ხარჯიც, რომელიც მთელი ბიუჯეტის 30,1 პროცენტს შეადგენდა.

ბიუჯეტის პროექტზე საუბრისას, კონსტანტინე კანდელაკი აღნიშნავს: ,,მესამე საბიუჯეტო წლის, 1920-1921წ. არც განხილვა დასცალდა სავსებით დამფუძნებელ კრებას და არც იმის ცხოვრებაში გატარება სახელმწიფოს ხელისუფლებას. უნდა ვიფიქროთ, რომ ისიც დეფიციტით დამთავრდებოდა, ხოლო დარწმუნებით შეიძლება თქმა იმის, რომ ეს დეფიციტი არ უნდა ყოფილიყო პროცენტულად უფრო დიდი, როგორც წარსული წლის ბიუჯეტში“.[99] მისი პროგნოზი ემყარებოდა ახალ გარემოებებს. სწორედ ამ საანგარიშო წელს გაიზარდა გადასახადები, გაუმჯობესდა გადასახადების ამკრეფი სისტემა, ქალაქი ბათუმი დაბრუნდა საქართველოს შემადგენლობაში, ქვეყანა ელოდებოდა შემოსავალს მონოპოლიად გამოცხადებული სხვადასხვა საქონლის

[99] *კანდელაკი კ.* საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, პარიზი, 1960, გვ. 177.

(მარგანეცი, თამბაქო, მატყლი) რეალიზაციიდან და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, პირველად ძალაში შევიდოდა საქართველოს მიერ აღებული საგარეო სესხი.

სამწუხაროდ, საბჭოთა ჯარების მიერ საქართველოს დაპყრობის გამო, შეუძლებელი გახდა იმის თქმა, თუ რამდენად გამართლდებოდა ფინანსთა მინისტის ვარაუდი.

თავი V. მოქალაქეთა სოციალ-ეკონომიკური უფლებანი საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მონაგარი არის კონსტიტუციის შემუშავება და დამტკიცება. 1921 წლის 21 თებერვალს გამოქვეყნებული სახელმწიფოს ამ ძირითადი კანონით იწყება კონსტიტუციონალიზმის ისტორია საქართველოში.

საქართველოს კონსტიტუციაზე მუშაობა ჯერ კიდევ პირველმა საკანონმდებლო ორგანომ, ეროვნულმა საბჭომ დაიწყო. 1918 წლის 6 ივნისს ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა კომისია ,,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკონსტიტუციო საფუძვლების შესადგენად". კომისია მუშაობას მომდევნო დღესვე შეუდგა. თავდაპირველად კომისიაში შედიოდნენ: ნ. ჟორდანია, ს. ჯაფარიძე, რ. არსენიძე, პ. საყვარელიძე, ი. ჩერქეზიშვილი, კ. მაყაშვილი, გ. რცხილაძე, გ. გვაზავა და ს. დადიანი. კომისიის თავჯდომარედ აირჩიეს ს. ჯაფარიძე, მდივნად პ. საყვარელიძე. მოგვიანებით წევრები რამდენჯერმე შეიცვალნენ.[100]

საკონსტიტუციო პროექტის დაჩქარების მიზნით, კომისიამ სამუშაო გადაანაწილა წევრებს შორის, რის შედეგადაც, 1918 წლის 27 ნოემბრის სხდომაზე წარმოდგენილი იქნა კონსტიტუციის პროექტის შემდეგი თავები: რესპუბლიკის ჯარი, საქართველოს მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი, მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვისა, ფინანსები, სასამართლო, სახელმწიფო და ეკლესია. 1919 წლის 28 თებერვალს კი მათ რიცხვს დაემატა დებულება საქართველოს პარლამენტის შესახებ.[101]

1919 წლის მარტში კომისიამ საქართველოს პარლამენტთან ერთად შეწყვიტა მუშაობა და საკუთარი ნამუშევარი გადასცა არჩევნების წესით ფორმირებულ ახალ საკანონმდებლო ორგანოს - დამფუძნებელ კრებას.

დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 18 მარტს აირჩია საკონსტიტუციო კომისია 15 კაციანი შემადგენლობით. მასში 10 წევრი ჰყავდათ სოციალ-დემოკრატებს, ორ-ორი წევრი ეროვნულ-დემოკრატებსა და სოციალისტ-ფედერალისტებს, ხოლო ესერები 1 წევრს დასჯერდნენ.

ბიუჯეტის პროექტის მსგავსად, კონსტიტუციის მიღების პროცესიც დროში ძალიან გაჭიანურდა. კომისიას ოპონენტების გასაჩუმებლად რამდენჯერმე მოუწიათ

---

[100] *მაცაბერიძე მ.* საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავება და მიღება, ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, ბათუმი, 2011, გვ. 18.

[101] იქვე. გვ. 21.

კონსტიტუციის არასრული სახით გამოქვეყნება, რათა დაერწმუნებინათ საზოგადოება, რომ სამუშაო პროცესი მიმდინარეობდა.[102]

დამფუძნებელმა კრებამ კონსტიტუციის განსახილველად შეიმუშავა სპეციალური წესი და ნაცვლად სამი წაკითხვისა, პროექტი წარმომადგენლობით ორგანოში გატანილი იქნა 5 მოსმენით. პირველი სხდომა გაიმართა 1920 წლის 24 ნოემბერს, სადაც გამოჩნდა რომ კონსტიტუციის მიღებას კვირაში ერთი შეხვედრა არ ეყოფოდა და განისაზღვრა კიდევ ერთი დღე პროექტის განსახილველად.

კონსტიტუციის პროექტის გარშემო შექმნილი აზრთა სხვადასხვაობა ხშირად ხდებოდა დავის მიზეზი დამფუძნებელ კრებაში. მთავრობის თავჯდომარე ნოე ჟორდანიამაც კი უკმაყოფილება გამოხატა მთელ რიგ საკითხებზე. მან გააკრიტიკა სახელმწიფოებრივი მოწყობის წესი და შეუთავსებლად მიიჩნია ერთდროულად რეფერენდუმისა და საკანონმდებლო ინიციატივის არსებობა.[103]

კამათის საბაბი გახდა საკითხი, თუ ვის უნდა მიეღო კონსტიტუცია. კრების წევრთა ნაწილი თვლიდა, რომ ამის პრეროგატივა მხოლოდ ხალხს ჰქონდა და უზენაესი კანონიც მათ უნდა მიეღოთ რეფერენდუმის გზით, ხოლო მეორე ნაწილი გადამწყვეტ როლს დამფუძნებელ კრებას ანიჭებდა, რადგან ისინი სწორედ ხალხის წარმომადგენლები იყვნენ და მათზე იყო დელეგირებული კონსტიტუციის დამტკიცების უფლება.[104]

საბოლოოდ, საომარი სიტუაციიდან გამომდინარე, დამფუძნებელმა კრებამ კონსტიტუციის პროექტი 1921 წლის 21 თებერვალს დაამტკიცა. ჩვენს ქვეყანაში მიღებული პირველი კონსტიტუცია აკმაყოფილებდა აბსოლუტურად ყველა სამართლებრივ სტანდარტს და იმ დროინდელი მსოფლიო მასშტაბით აღიარებული იყო, როგორც პროგრესული დოკუმენტი. მასში არსებული დემოკრატიული ღირებულებები იწვევდა ყველა პარტიის თანხმობას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ როგორც მასზე იმდროინდელი მემარჯვენე ოპოზიცია საუბრობდა, კონსტიტუციის პროექტი გარკვეულ წილად სოციალისტური ტენდენციის მატარებელი იყო. ეს, რა თქმა უნდა, არ იყო უსაფუძვლო, რადგან მთავარი კონსტიტუციონალისტები სწორედ სოციალ-დემოკრატები იყვნენ.

კონსტიტუცია, რომელიც შედგებოდა 17 თავისა და 149 მუხლისაგან, თავის თავში აერთიანებდა და კანონიერ ძალას აძლევდა ყველა იმ ასპექტს, რაც აუცილებელია როგორც სახელმწიფოს გამართულად ფუნქციონირებისთვის, ასევე მოქალაქეთა უფლებებისა და ვალდებულების განსასაზღვრად.

---

[102] იქვე. გვ.27.
[103] იქვე. გვ.33.
[104] იქვე. გვ.35.

ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით კონსტიტუციაში განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს 13-ე თავი. მასში ადამიანის ძირითადი პოლიტიკური უფლებებიდან ცალკეა გამოყოფილი სოციალ-ეკონომიკური უფლებები და ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით:

თავი 13.

სოციალ-ეკონომიური უფლებანი

მუხლი 113.

რესპუბლიკა ზრუნავს თავის მოქალაქეთა ღირსეული არსებობისათვის.

მუხლი 114.

საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა ან კერძო ინიციატივის შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის ცალკე კანონში განსაზღვრული წესით. ჩამორთმეულ ქონებაში მიეცემა სათანადო საფასური თუ კანონში სხვა გვარად არ არის განსაზღვრული.

მუხლი 115.

რესპუბლიკას აქვს საკუთარი სააღებ-მიმცემო და სამრეწველო მეურნეობა, რომლის გაფართოება და ერთი მთლიანი საზოგადოებრივი მეურნეობის შექმნა მისი მთავარი მიზანია.

რესპუბლიკა ხელს უწყობს ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოთა ასეთსავე მეურნეობის გაფართოვებას და გაძლიერებას.

რესპუბლიკას შეუძლია კანონმდებლობის გზით გაასაზოგადოოს ის სავაჭრო-სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დარგი და წარმოება, რომელიც ამისთვის გამოსადეგია.

მუხლი 116.

წვრილი მწარმოებლის – სოფლის მეურნის, ხელოსანის, შინამრეწველის-შრომის ნაყოფის დაცვა კერძო პირთა ექსპლოატაციისაგან სახელმწიფოს განსაკუთრებული საზრუნავი საგანია.

რესპუბლიკის განსაკუთრებული საზრუნავია აგრეთვე სოფლის მეურნეობის აყვავება; მიწის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მიწის მფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე.

მუხლი 117.

შრომა საფუძველია რესპუბლიკის არსებობისა და მისი უზრუნველყოფა რესპუბლიკის განსაკუთრებული მოვალეობაა.

მუხლი 118.

რესპუბლიკის კანონმდებლობით ადგილობრივ თვითმართველობას ევალება დააარსოს შრომის ბირჟა, საშვამავლო კანტორა და სხვა ამგვარი დაწესებულება, რომელიც აღნუსხავს უმუშევართ და შუამავლობას გაუწევს სამუშაოს შოვნაში.

ასეთ დაწესებულების ხელმძღვანელ ორგანოში მუშათა კავშირის წარმომადგენელთა რიცხვი ნახევარზე ნაკლები არ უნდა იყოს.

მუხლი 119.

უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეს მიეცემა დახმარება სამუშაოს აღმოჩენით ან დაზღვევის სახით.

მუხლი 120.

მოხუცებულობით, დაავადებით თუ სხვა მიზეზით შრომის უნარს მოკლებული მოქალაქე, რომლისთვისაც ზრუნვა კანონით ან ჩვეულებით დავალებული არა აქვს მემკვიდრეს, მზრუნველს, მწარმოებელს ან სხვა კერძოსა თუ საზოგადოებრივ დაწესებულებას, და რომელსაც არსებობის სახსარი არ მოეპოვება, მიიღებს დახმარებას სახელმწიფო ხაზინიდან დაზღვევით ან სხვა სახით. ასევე დაეხმარება ხაზინა, უკეთუ მემკვიდრეს ან მზრუნველს შრომის უნარდაკარგულის რჩენა არ შეუძლია.

მუხლი 121.

დაქირავებული მუშა, რომელიც მოხუცებულობით, დაშავებით ან სხვა მიზეზით დაჰკარგავს სავსებით ან ნაწილობრივ შრომის უნარს, მიიღებს დახმარებას დაზღვევის სახით თავის ხელფასის კვალობაზე. დასაზღვევი თანხა უნდა შესდგეს დამქირავებელზე შეწერილ საგანგებო გადასახადისაგან.

მუხლი 122.

გარდა საგანგებო ან ამ მიზნით შეწერილი გადასახადისა ზემოაღნიშნულ მოვალეობათა ასასრულებლად რესპუბლიკის შემოსავლიდან უნდა გადაიდოს ყოველ წლიურად განსაზღვრული ნაწილი.

მუხლი 123.

ნორმალი სამუშაო დრო დაქირავებულთათვის არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 48 საათს; ამასთანავე კვირაში ერთხელ მუშა უნდა ისვენებდეს განუწყვეტლივ 42 საათს. გამონაკლისს სამუშაო დროის შესახებ განსაზღვრავს კანონი.

სასოფლო მეურნეობისა და სხვა სასეზონო წარმოებაში სამუშაო დროის შეფარდება განსაკუთრებულ პირობებთან განისაზღვრება კანონით.

მუხლი 124.

წარმოებაში 16 წლამდის ყმაწვილის შრომა აკრძალულია; 16-18 წლის მოზარდთათვის სამუშაო დრო განისაზღვრება 6 საათით დღეში; მოზარდთა და საზოგადოთ ქალთათვის ღამით მუშაობა აკრძალულია.

მუხლი 125.

რესპუბლიკის საზრუნავი საგანია განსაზღვროს მინიმუმი ხელფასი და შრომის ნორმალი პირობანი წარმოებაში.

არსდება შრომის ინსპექცია და სანიტარული ზედამხედველობა, რომელიც დამოუკიდებელი უნდა იყოს დამქირავებელთაგან.

მუხლი 126.

განსაკუთრებული კანონი დაიცავს ქალთა შრომას წარმოებაში. აკრძალულია ქალის მუშაობა დედობისათვის მავნე წარმოებაში; მუშა ქალი მშობიარობის დროს არა ნაკლებ ორი თვისა თავისუფალია მუშაობისაგან ჯამაგირის მოუსპობლად;

დამქირავებელს ევალება ძუძუმწოვარ ბავშვთა მოსავლელად შესაფერ გარემოებაში ამყოფოს მუშა ქალები.

მუხლი 127.

შრომის დამცველ კანონების დარღვევისათვის დამნაშავენი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით.

მუხლი 128.

რესპუბლიკას და ადგილობრივ მმართველობას ევალება დედობის და ბავშვების დაცვისათვის მზრუნველობა.[105]

კონსტიტუციაში ასეთი თავის შეტანა, რომელიც მოქალაქეებს ამგვარ სოციალურ უფლებებს ანიჭებს, ხელისუფლების მხრიდან გარკვეულ სითამამეს მოითხოვდა. ამ დროს სახელმწიფო ვალდებული ხდება, კოლოსალურად დიდი თანხები გამოყოს ბიუჯეტიდან და უზრუნველყოს საზოგადოების საჭიროებების დაკმაყოფილება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია იყო პირველი კონსტიტუცია, სადაც ცალკე თავად ჩაიდო მოქალაქეთა სოციალ-

[105] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0

ეკონომიკური უფლებები. გერმანიამ და იტალიამაც კი თავი აარიდეს მსგავსი ტიპით კონსტიტუციაში სოციალური საკითხის შეტანას.[106]

მეცამეტე თავში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რამდენიმე მუხლი. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში დასაქმების საკითხს. ხელისუფლებამ კონსტიტუციით განამტკიცა მუშა-მოსამსახურეთა უფლებანი. თვითმმართველობებს დაევალათ სპეციალური ბირჟების შექმნა, რომლის მთავარი ამოცანაც უმუშევართა დასაქმება უნდა ყოფილიყო. შეიქმნა შრომის ინსპექცია, რომელიც გააკონტროლებდა სამუშაო პირობებს. კონსტიტუციის მთავარ მონაპოვრად შეგვიძლია მივიჩნიოთ კვირაში არაუმეტეს 48 საათიანი სამუშაო დღის დაკანონება და მინიმალური ხელფასის განსაზღვრა. სახელმწიფოს უმაღლესმა კანონმა აკრძალა ბავშვთა შრომა და დამსაქმებელი აიძულა, ორსული და მეძუძური ქალებისთვის განსაკუთრებული პირობები შეექმნა.

სოციალური უფლებებიდან აღსანიშნავია უმუშევრად დარჩენილი და შრომის უნარს მოკლებული ადამინებისათვის სახელმწიფოს მხრიდან დახმარების მიცემა. 121-ე მუხლით სახელმწიფო ავალდებულებდა დამსაქმებელს, დახმარებოდა იმ ადამიანს, რომელმაც შრომის უნარი სამსახურში დაკარგა.

მოქალაქეთა სოციალ-ეკონომიკურ უფლებებზე საუბრისას კონსტანტინე კანდელაკი ორ მუხლს გამოყოფს. ესენია: 115-ე და 116-ე მუხლები. ფინანსთა მინისტრი ამბობს, რომ კონსტიტუციით რესპუბლიკისთვის მინიჭებული საკუთარი სააღებ-მიმცემო და სამრეწველო მეურნეობა, ერთგვარ თავის ტკივილს წარმოადგენდა. ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნაში რთული იყო იმის ზუსტად განსაზღვრა, აზარალებდა თუ სარგებელს მოუტანდა წარმოების ნაციონალიზაცია. თუ განსაზოგადოების მთავარი მიზანი იყო კერძო მესაკუთრის მიერ წარმოებისას წარმოქმნილი დამატებითი ღირებულების გაქრობა, ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო, რომელსაც მზარდი ხარჯები ჰქონდა დასაფარი, თავად ქმნიდა პროდუქტზე ნამეტ ფასს. ამას ერთვოდა სახელმწიფოს ხელში ფინანსების სიმცირე და ასევე საქმის მცოდნე ადამიანების დეფიციტი, რაც საბოლოოდ საზოგადოებას უფრო მეტად აზარალებდა ვიდრე სარგებელს აძლევდა. ერთი შეხედვით მინისტრის ეს პოზიცია დამყარებული იყო მემარჯვენე ოპოზიციის შეხედულებებზე, თუმცა მის არგუმენტირებას პრაქტიკაში არსებული შემთხვევებიც განაპირობებდნენ.[107]

მეორე საკითხი რაზეც, ეკონომისტმა ყურადღება გაამახვილა იყო გლეხების დაცვის საკითხი. კანდელაკმა აღნიშნა, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას თავიდანვე განსაკუთრებული მიდგომა ჰქონდა სოფელში მიწაზე მომუშავე ადამიანების მიმართ. მუშათა კლასის ინტერესებზე ორიენტირებულ პარტიას უყურადღებოთ არ

---

[106] *ცანავა ლ.* სოციალ-ეკონომიკური უფლებები 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და 1921 წლის კონსტიტუცია, თბ, 2013. გვ. 62.
[107] *კანდელაკი კ.* საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, პარიზი, 1960, გვ. 208.

დაუტოვია აგრარულ სფეროში თვითდასაქმებულებიც და მათ საკუთარი პოლიტიკა მტკიცედ დაუკავშირა.

პირველი კონსტიტუციის მიღებიდან ზუსტად საუკუნე გავიდა. იგი ითვალისწინებდა როგორც უკვე არსებულ სამართლებრივ გამოცდილებას, ასევე გარკვეული თვალსაზრისით, დროსაც უსწრებდა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს წლების შემდეგ რატიფიცირებული საერთაშორისო აქტები, რომლებმაც ადმიანის სოციალური უფლებების დაცვა სახელმწიფოებს კანონისმიერად დაავალეს.

დასკვნა

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ურთულესი გამოცდის ჩაბარება მოუწია საკუთარი 1028 დღიანი არსებობის განმავლობაში. ქვეყანას დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად პირველ რიგში სჭირდებოდა ინსტიტუციური გარდაქმნა და საზოგადოებრივი მხარდაჭერა, რადგან იგი თვისობრივად ახალ სახელმწიფოს აშენებდა. ძველი მონარქიის საფუძველზე ახალი რესპუბლიკა უნდა აღმოცენებულიყო, მეფის ერთპიროვნული მმართველობა დემოკრატიულ პრინციპებს უნდა ჩაენაცვლებინა და რაც ყველაზე მთავარია, მთავრობას პრაქტიკაში უნდა გაეტარებინა ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის ანალოგიც ბუნებაში არ არსებობდა. სოციალ-დემოკრატები მუდამ ალტერნატივის წინაშე იდგნენ, აერჩიათ მარქსისტული იდეოლოგია ქვეყნის სამართავად თუ მიეღოთ ლიბერალური ეკონომიკის წესები ქვეყანაში კაპიტალის მოსაზიდად.

შესწავლილი და განხილული მასალა გვაძლებს გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას. 1919 წელს ჩატარებული დამფუძნებელი კრების არჩევნები, ქვეყნისთვის დემოკრატიისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი იყო. ამ არჩევნებმა ასევე სრული ძალაუფლება მიანიჭა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. როგორც ჩანს, მათი პოლიტიკური ხედვა ყველაზე ახლოს იდგა მოსახლეობის უდიდეს უმეტესობასთან. მათი პოლიტიკური პლატფორმა სავსე იყო ისეთი ლოზუნგებით, რომელებიც გლეხებს ჰპირდებოდნენ მიწას, ხოლო მშრომელ ხალხს ღირსეულ სამუშაო პირობებსა და კაპიტალისტების ექსპლუატაციისგან განთავისუფლებას.

რადგან მთავრობაშიც და დამფუძნებელ კრებაშიც ერთი პოლიტიკური ძალა იყო გადაწყვეტილების მიმღები, ისინი ხშირად კოორდინირებულად მოქმედებდნენ. ყველა სახელისუფლებო ინიციატივას და იდეას წარმომადგენლობითი ორგანო ანიჭებდა კანონიერ ლეგიტიმაციას. აქედან გამომდინარე ქვეყანის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრება მემარცხენე შეხედულებებით იყო გაჯერებული.

აღნიშნული დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს იმ ეკონომიკური შინაარსის სამართლებრივი აქტების განხილვა, რომლებიც მიიღო დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 12 მარტიდან 1921 წლის 16 მარტამდე. მათ შორის აღსანიშნავია ქალაქებში მიწის გასხვისების აკრძალვა, უძრავი ქონების იძულებით ჩამორთმევის წესის დადგენა, მთავრობის საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობაში ჩართვა,

ფუფუნების საგნების ქვეყანაში შემოტანის აკრძალვა, მარგანეცზე, თამბაქოზე, მატყლზე და აბრეშუმის პარკზე სახელმწიფოს მონოპოლიის გამოცხადება და ა.შ.

1918-1921 წლების საქართველოს ეკონომიკურ ვითარებაზე დაკვირვება და დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშების საფუძვლიანი შესწავლა ცხადყოფს, რომ ქართული სახელმწიფო ერთის მხრივ ამოდიოდა დაბალი სოციალური ფენის ინტერესიდან, ხოლო მეორეს მხრივ იგი იძულებული იყო თავად ემოქმედა სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში, რადგან ქვეყანაში არ შექმნილიყო სასურსათო დეფიციტი და სახელმწიფოში არსებულ ქართველ და უცხოელ სპეკულანტებს მთლიანად არ ჩამოენგრიათ ქვეყნის ეკონომიკა.

თუ სოციალისტური კანონების გამო მთავრობას მემარჯვენე ოპოზიცია აკრიტიკებდა, მათ ზომიერებას ვერ ეგუებოდნენ სოციალისტ-ფედერალისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები. ისინი ხელისუფლებისგან მოითხოვდნენ კერძო საკუთრების მოსპობას და სრულ ნაციონალიზაციას. თუმცა ამ მხრივ სოციალ-დემოკრატები არ ჩქარობდნენ და აცხადებდნენ რომ სოციალიზმისკენ გზა კაპიტალიზმის სრულყოფით მიდის.

ზომიერი სოციალ-დემოკრატები ხვდებოდნენ, რომ საერთაშორისო მხარდაჭერის გარეშე, მხოლოდ სახელმწიფო ფიზიკურად ვერ აუვიდოდა მზარდი ხარჯების პირობებში ქვეყნის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ამიტომ მაქსიმალურად ერიდებოდნენ კერძო ინიციატივებს სრულ მოსპობას. ხარჯები კი ქვეყანას მართლაც ბევრი ჰქონდა. დაგეგმილ გასავალს ემატებოდა დაუგეგმავი ხარჯიც. სამი წლის მანძილზე ქვეყანას უამრავი შიდა და გარე მტრის მოგერიება დასჭირდა. იბრძოლა ოსმალეთის, დენიკინის თეთრი გვარდიის, სომხეთის, აზერბაიჯანის და საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის წინააღდეგ. ხშირი იყო აფხაზეთში, შიდა ქართლის ოსებით დასახლებულ რეგიონსა და სამცხე-ჯავახეთში სეპარატისტული გამოსვლები. მოულოდნელად იფეთქა ეპიდემიამ, მოხდა მიწისძვრა და თუ პირველი მსოფლიო ომის მძიმე მემკვიდრტეობასაც გავითვალისწინებთ, ლოგიკურად გაგვიჩნდება განცდა, რომ ყოველგვარი დახმარების გარეშე საერთოდ, როგორ გაუძლო ამას სახელმწიფომ?

გაუძლო იმის ხარჯზე, რომ სახელმწიფოს მუდმივად დეფიციტური ბიუჯეტი ჰქონდა და იგი ბონების ემისიით ბალანსდებოდა. ეს ყოველივე კი ქვეყანაში საშინელ ინფლაციას იწვევდა. გაუძლო იმიტომ, რომ ქვეყანა დემოკრატიულ ღირებულებებზე იდგა და ხელისუფლება ძალისხმევას არ იშურებდა სახელმწიფოს გასავითარებლად. გაუძლო იმიტომ, რომ მართველი სოციალ-დემოკრატიული პარტია საკმაოდ რეალისტი იყო და მხოლოდ იდეოლოგიაზე დაყრდნობით არ დაღუპა ქვეყანა.

ინფლაციას იწვევდა ის სოციალური პასუხისმგებლობაც, რომელიც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰქონდა აღებული თავის თავზე. იგი ყველანაირად ეხმარებოდა მუშათა კლასს. ამას ადასტურებს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული დეკრეტი მუშა-მოსამსახურეთათვის პირველ მოთხოვნილების

საქონლის მისაწოდებლად მთავრობის განკარგულებაში 50 მილიონი მანეთის გადადების შესახებ. გარდა მუშებისა, ბიუჯეტიდან დიდი თანხა გადიოდა მშიერთა და სოციალურ დაუცველთა დასახმარებლად. ასევე დახმარებები ეძლეოდათ ობლებს, ქვრივებს, პანდემიასთან მებრძოლ ექიმებს რომლებმაც შრომის უნარი დაკარგეს და ყველა უმუშევრად დარჩენილს.

ეს ყველაფერი რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას არასტაბილურს ხდიდა, თუმცა ხელშემშლელი ფაქტორი იმდენი იყო, რომ ძლიერი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოსაც კი გაუჭირდებოდა ამ პრობლემებთან გამკლავება.

მიუხედავად კრიზისისა, სახელმწიფო არ განადგურდა სანამ იგი ბოლშევიკებმა არ დაპყრეს და სამი წლის განმავლობაში დატოვა ისეთი მნიშვნელოვანი საქმეები რომელთა რიცხვშიც შედის შრომის კოდექსის მიღება, ეროვნული ბანკის დაფუძნება და საბაჟო მექანიზმების დანერგვა. ქვეყანაში პირველად შედგა ბიუჯეტი და რაც მთავარია დაიწერა და დამტკიცდა მსოფლიო დონის კონსტიტუცია, რომელშიც შემავალ მეცამეტე თავს, მოქალაქის სოციალ-ეკონომიკური უფლებების შესახებ, ანალოგი არ ჰქონდა.

ვფიქრობ ჩემი საკვლევი თემა პოპულარიზაციას გაუწევს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკის მთავარ მახასიათებლებს. მოხდება მთავარი ღირებულებების თავიდან გააზრება და იმ ფასეულობათა აქტუალიზება კი რომლებიც საუკუნის წინ დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოში ინერგებოდა, მნიშვნელოვანი იქნება თანამედროვე საქართველოსთვისაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. ათანელიშვილი თ. სადისერტაციო ნაშრომი ,,ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, თბ, 2006 წ.
2. ბენდიანიშვილი ა. საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ). თბ, 2001 წ.
3. ბოდონე ქ. საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორის შრომის სტანდარტები, თბ. 2017 წ.
4. დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა, თბ, 1918
5. კანდელაკი კ. საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, პარიზი, 1960 წ.
6. კაუცკი კ. საქართველო გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი. თბ, 2018 წ.
7. კეჟერაშვილი შ. 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნები და პოლიტიკური პარტიების პროგრამები, სამაგისტრო ნაშრომი, თბ, 2019 წ.
8. კუპატაძე ბ. დამფუძნებელი კრება, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბ, 2018 წ.
9. კუპატაძე ბ. დამფუძნებელი კრების კომისიები, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბ, 2018 წ.
10. გ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ, 1995 წ.
11. მაცაბერიძე მ. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავება და მიღება, ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, ბათუმი, 2011 წ.
12. მ. მაცაბერიძე, სოციალისტური პარტიების წინასაარჩევნო პლატფორმები საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს, ქართული პარლამენტარიზმი, ტ. II, თბ, 2020 წ.
13. პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში, თბ., 2017 წ.
14. სამუშია ჯ. დამფუძნებელი კრების საბიუჯეტო-საფინანსო კომისია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედია-

ლექსიკონი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018 წ.
15. ცანავა ლ. სოციალ-ეკონომიკური უფლებები 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და 1921 წლის კონსტიტუცია, თბ, 2013 წ.
16. ჯანელიძე ო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები, თბ., 2018. წ.

სხდომის ოქმები:

1. საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. I,
2. საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. II,
3. საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. III,
4. საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. IV,
5. საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. V,
6. საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. VI,
7. საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმები. ტ. VII,
8. იურიდიული კომისიის სხდომის ოქმი,
9. შრომის კომისიის სხდომის ოქმი.

გაზეთები:

1. გაზეთი ,,ერთობა“ № 107, 1918, 28 მაისი.
2. გაზეთი ,,ერთობა“ № 63, 1919, 18 მარტი.
3. გაზეთი ,,ერთობა“, 1920 წ., 18 აგვისტო.
4. გაზეთი ,,საქართველო”, № 101, 1918, 26 მაისი.
5. გაზეთი ,,საქართველო”, № 19, 1919, 25 იანვარი.
6. გაზეთი „შრომა“, 1919 წ, 8 თებერვალი.

ინტერნეტ რესურსები:

1. https://gtuc.ge › სხვა-სამყარო-მშრომელთათვის
2. https://civil.ge/ka/archives/350035
3. https://on.ge/story/56782-26
4. http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/
5. http://firstrepublic.ge/ka/theme/54

6. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6773
7. http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/
8. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0